

ტაისონს უარი აშმაგებს

A6



თუ ვევროპელობთ, ევროპასვე მივბაძოთ

A7



დღესასწაულის ათი დღე

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 13 აგვისტო, 2005 წელი. №184 (1044)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ქართული მხარე აფხაზთა არაკორექტულ გამონათქვამებს დისკრიმინაციულს უწოდებს

"საქართველოს რკინიგზის" დელეგაციის სამი წევრის სოხუმში არშეშვებასთან დაკავშირებით, კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

A2

## ამბები

### „ნუ შეხვალთ კონფლიქტში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებთან„

ფინანსური პოლიცია კონტრაბანდული სიგარეტით მოვაჭრეებს მკაცრ გაფრთხილებას აძლევს და სწორედ ამ გამკაცრებული კანონმდებლობით დაწესებულ სანქციებს შეახსენებს.

A3

## ამბები

### სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო ორგანიზაციებს თხოვნით მიმართავს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გორში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილების გათავისუფლებას საქართველოში რუსეთის ელჩსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს.

A3

## სპორტი

### კლიჩკოს კლიჩკო ექომაგება

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი, ვიტალი კლიჩკო მომდევნო ბრძოლის სამზადისშია. ამჯერად კლიჩკოს მეტოქე იქნება ჰასიმ რაჰმანსა და მონტე ბარეტს შორის ხვალ გამთენიისას გასამართ ორთაბრძოლაში გამარჯვებული.

A4

## ამინდი

| | 13/08 | 14 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 36 |
| ტყიბული | 32 | 35 |
| სოხუმი | 32 | 34 |
| დმანისი | 27 | 30 |
| გორი | 30 | 32 |
| ონი | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 34 | 37 |
| ახმეტა | 33 | 35 |
| გაგრა | 31 | 32 |
| სამტრედია | 34 | 37 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8026 |
| ევრო | 2.2285 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2048 |
| რუბლი | 0.0634 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ფოსტა | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# იუშჩენკო, საქართველო და სიურპრიზი პრეზიდენტებისაგან

*უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო გუშინ საქართველოს სამდღიანი არაოფიციალური ვიზიტით ეწვია. მასპინძლებმა მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს საკმაოდ დატვირთული, შემეცნებით-გასართობი პროგრამა შესთავაზეს. თანაც, გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა თავის უკრაინელ კოლეგას პროგრამის კორექტირების უფლებაც მისცა. ასე რომ, ვიქტორ იუშჩენკოს სამი დღის განმავლობაში არაერთი, შესაძლოა, დამღლელი, მაგრამ მაინც სასიამოვნო წუთის განცდა მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებს ამის იმედი აქვთ.*

თამარ მჭედლიშვილი

თუ იმ პროგრამის შინაარსს გავითვალისწინებთ, რომელიც ვიზიტის წინ ქართულ მედიაში გავრცელდა, მთელი სამი დღის მანძილზე სტუმარიც და მასპინძელიც მუდმივად იმოგზაურებენ - პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი და ვიქტორ იუშჩენკო კახეთის რეგიონს ესტუმრებიან. დაგეგმილია თელავის მუზეუმის, ერეკლე მეფის სასახლის, ალავერდის საკათედრო ტაძრის, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა და წინანდლის ღვინის ქარხნის დათვალიერება. მოგზაურობის მეორე პუნქტი ქუთაისია, სადაც პრეზიდენტები გელათის საკათედრო ტაძარს მოინახულებენ. იქვე იგეგმება იუშჩენკოს და სააკაშვილის მასმედიასთან შეხვედრაც. საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტებს მცხეთაშიც ელოდებიან. ისინი დაათვალიერებენ ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს. შემდეგ პრეზიდენტები უფლისციხეს ეწვევიან. არ არის გამორიცხული, მაღალი სტუმარი სვანეთშიც ჩავიდეს - თუ, რა თქმა უნდა, მას ამის დრო დარჩება. თუმცა, მოგზაურობის პირველი პუნქტი, პროტოკოლის მიხედვით, ბორჯომი იყო. სწორედ იქ მიმდინარეობდა განსაკუთრებული მზადება მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პირველი პუნქტი არა ბორჯომი, არამედ კახეთის ერთ-ერთი სოფელი იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიციური ლიდერის ძმობა საშიშია

გიორგი ასანიშვილი

*"რესპუბლიკელები" ხელისუფლებას საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ მისი თანაგუნდელების მიმართ პოლიტიკური ტერორი ხორციელდება. მას მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ძმის, ადვოკატ გიორგი უსუფაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.*



ამ უკანასკნელს ბრალად ედება თაღლითობით სხვისი ქონების მიტაცება, რაც იმაში გამოიხატა, რომ სასამართლოში მოგებული პროცესის შემდეგ გიორგი უსუფაშვილმა სასამართლო აღმასრულებლის ირაკლი სიორიძისგან მიღებული თანხა კლიენტებს მეორე დღესვე არ გადასცა. თინათინ ხიდაშელის მტკიცებით, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ კლიენტების ნაწილი უმუშევრების ორგანოების მუშაკებს განყოფილებაში ჰყავდათ წაყვანილი, სადაც მათ არწმუნებდნენ, რომ გიორგი უსუფაშვილმა მათი თანხა მიითვისა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პოლონეთი-რუსეთი - დაძაბულობა იზრდება

## მოსკოვში კიდევ ერთი პოლონელი გაილახა

ნიკა თარაშვილი

*მოსკოვში პოლონეთის უკვე მესამე მოქალაქე გაილახა. დიპლომატების შემდეგ გუშინ უცნობი პირები პოლონელ ჟურნალისტს დაესხნენ თავს და სასტიკად სცემეს. როგორც ჩანს, რუსეთში ვიღაც საოცრად არ სწყალობს პოლონელებს. მართალია, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე უკანასკნელ შემთხვევაზეც აღძრა (ისევე, როგორც წინა ორზე), მაგრამ საქმის გახსნის პერსპექტივა რომ ნაკლებად არსებობს, დღესვე ნათელია. არსებობს ეჭვი, რომ პოლონელებს რუსი ნაციონალისტები სდევნიან და ეს დევნა აშკარად უკავშირდება ბოლოდროინდელ დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*უკანასკნელ დღეებში მოსკოვში პოლონეთის მისია "საალყო" მდგომარეობაში ფუნქციონირებს.*

# სკანდალი გამომცემლობის გარშემო

*სახელმწიფო "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" უარი დამოუკიდებელი გაზეთების ბეჭდვაზე პოლიტიკური სკანდალის მიზეზი გახდა.*

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

დღემდე გაურკვეველი რჩება სიტუაცია "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" მიერ სამი პოპულარული გაზეთის – "ნუჟნაია გაზეტას", "ჩეგემსკაია პრავდას" და "ეხო აბხაზიის" ბეჭდვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. გასულ კვირაში "ნუჟნაია გაზეტას" ნომერი პატარა ფორმატით დაიბეჭდა და, ტელეპროგრამის გარდა, შეიცავდა მხოლოდ ბოდიშს მკითხველების წინაშე სამივე გაზეთის სახელით, იმის გამო, რომ ისინი არ გამოვიდნენ. იქვე აღნიშნული იყო, რომ გაზეთების გამოსვლა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში არსებული ტექნიკური პრობლემების და, ასევე, მათ დაბეჭდვაზე სახელმწიფო პოლიგრაფიული გაერთიანების უარის გამო ჩაიშალა.

როგორც თავად ჟურნალისტები ამტკიცებენ, მათ "ბეჭდვითი სიტყვის სახლს" მას შემდეგ მიმართეს, რაც გაზეთების გამოსვლა ეჭვქვეშ საუნივერსიტეტო სტამბაში ტექნიკური პრობლემების მოუგვარებლობის გამო დადგა. თუმცა, იქ მათ ცალსახად განუმარტეს, რომ გაზეთებს არ დაბეჭდავდნენ. ამის მიზეზი არავის აუხსნია.

მას შემდეგ გაზეთების წარმომადგენლებმა, პრობლემის მოგვარების მიზნით, ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას მიმართეს. მან, თავის მხრივ, "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" დირექტორს რომან არღუნს გაზეთების დაბეჭდვის თაობაზე წერილობითი თხოვნა გაუგზავნა. ამის საპასუხოდ, მეორე დილით არღუნმა "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" კოლექტივი შეკრიბა და განაცხადა, რომ გაზეთებს არავითარ შემთხვევაში არ დაბეჭდავს. მოტივები კვლავაც არ დასახელებულა.

როგორც ამჟამად "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" თანამშრომლები ამბობენ, მათ ხელმძღვანელს ერთადერთი არგუმენტი ჰქონდა: საქმე ისაა, რომ "ნუჟნაია გაზეტა" და "ეხო აბხაზიი" დიდი ხნის განმავლობაში "ბეჭდვითი სიტყვის სახლში" იბეჭდებოდა, თუმცა, როგორც კი გაზეთებს უფრო იაფად ბეჭდვის საშუალება გაუჩნდათ, ისინი უმალვე უნივერსიტეტის სტამბაში გადავიდნენ. ამჯერად კი, არღუნი მათზე შურს იძიებს.

თუმცა, ჟურნალისტები არღუნის მოქმედებაში პოლიტიკურ ქვეტექსტს ხედავენ. ისინი მას ოპოზიციური ბანაკის მხარდამჭერად მიიჩნევენ. ცნობილია, რომ

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვანო მერაბიშვილი რუს სამშვიდობოებს კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებს

*"ქართველმა სამართალდამცველებმა კონტრაბანდული საქონლით დატვირთული ავტომანქანა "გაზ-131" დააკავეს. მანქანას, რომელსაც 12 ყუთი სიგარეტი და 2 ტონა დიზელის საწვავი გადაჰქონდა, რუსი სამშვიდობოები აცილებდნენ", – განაცხადა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და რუსი სამშვიდობოები კონტრაბანდის მფარველობაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების მიერ კონტრაბანდული ტვირთის უკანონო გადატანის შემთხვევები ძალზე ხშირია.*

მინისტრის ინფორმაციით, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების აფხაზეთის სამმართველოსა და აფხაზეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ენგურის ხიდთან კონტრაბანდული ტვირთი დააკავეს, რომელშიც სხვადასხვა დასახელების კონტრაბანდული სიგარეტი – 5 ათასი კოლოფი "ნოვოსტი", 5 ათასი "ტროიკა", 3 ათასი "ვინსტონი", არყები, ლუდი და სხვადასხვა დასახელების კონტრაბანდული საქონელი აღმოჩნდა.

მინისტრის თქმით, ტვირთის დაკავებას რუსი სამშვიდობოები შეეწინააღმდეგნენ და ორი "ბეტეერითა" და 20 შეიარაღებული ჯარისკაცის მონაწილეობით ტვირთის უკან გატანას ცდილობდნენ. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, რუსი სამშვიდობოების მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო, ენგურის ხიდზე სწრაფი რეაგირების რაზმი გამოიძახეს, რის შემდეგაც ინციდენტი აღიკვეთა. ქართველმა სამართალდამცველებმა დაკავებული კონტრაბანდული ტვირთი ზუგდიდში გადაიტანეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# IFAD-ის მხარდაჭერით შუახევში ვაზის 12 ათასი ნერგი გამოიყვანეს

IFAD-ი აჭარის რეგიონში მევენახეობას ანვითარებს. შუახევის რაიონში, IFAD-ის პროგრამის სანერგეში "ჩხავერის" ჯიშის ვაზის 12 ათასი ნერგი გამოიყვანეს, რომელიც შუახევის რაიონის 6 სოფელში 4,2 ჰა ფართობზე გაშენდება.

IFAD-ის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის პრაქტიკულმა განმახორციელებელმა არასამთავრობო ორგანიზაცია MADI-მ გასულ წელს შუახევის რაიონში 39 ფერმერთან 3,5 ჰა ფართობზე გააშენა "ჩხავერის" ჯიშის ვაზის ნერგები, რომლებიც გამოყვანილი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიების და ბიზნესის ინსტიტუტის სანერგეში. "ჩხავერის" ჯიშის ვაზის ნერგებზე მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ IFAD-ის პროგრამამ გადაწყვიტა საკუთარი სანერგის მოწყობა შუახევის რაიონში, სადაც წელს წარმოებული იქნა ზემოთ აღნიშნული 12 ათასი ნერგი, საიდანაც 2 ათასი მწვანე და 10 ათასი ჩვეულებრივი ნერგია. მათი გადარგვა დაიწყება შემოდგომიდან. MADI-ს (მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) სპეციალისტებმა მიმდინარე წელს ვაზის გაშენების თანამედროვე ტექნოლოგიაში სწავლებები ჩაუტარეს როგორც მევენახეთა ასოციაციის წევრებს, ისე შუახევისა და მიმდებარე რაიონების დაინტერესებულ ფერმერებს.

მევენახეობა ერთ-ერთი ძირძველი დარგია შუახევის რაიონში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ცნობილი მიზეზების გამო, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მევენახეობის დარგმაც განიცადა დეგრადაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართულმა მხარემ, შესაძლოა, ჭუბურხინჯის შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი თქვას

"ქართული მხარე უარს იტყვის ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრებში მონაწილეობაზე, თუ აფხაზური მხარე კვლავ განაგრძობს იურიდიულად გაუმართლებელი ტერმინის - "საქართველო-აფხაზეთის საზღვრის" ხმარებას.

სააგენტო "აფსნიპრესის" ცნობით, ამის შესახებ საქართველოს უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა ლოგუამ ხუთშაბათს ჭუბურხინჯში ქართული და აფხაზური მხარეების, ასევე, რუსი სამშვიდობოებისა და გაერო-ს დამკვირვებელთა წარმომადგენლების ოთხმხრივ შეხვედრაზე განაცხადა.

ქართულმა მხარემ კვლავ დააყენა საკითხი 20 ივლისს "საზღვრის უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით დაკავებულ 12 ქართველთან დაკავშირებით და მოითხოვა სასამართლოზე ზუგდიდელი ადვოკატის მონაწილეობა. ქართული მხარის წარმომადგენლების განცხადებით, ზუგდიდის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს მოქალაქეების გატაცებასთან დაკავშირებით.

ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მონაწილეებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გასული ერთი კვირის მდგომარეობა სტაბილურად შეაფასეს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ავჭალაში ახალი ტიპის საპატიმრო გაიხსნა

იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ ავჭალის N10 სასჯელაღსრულების დაწესებულება გახსნა. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ავჭალის დაწესებულება პირველია, სადაც განთავსდებიან პატიმრები, რომელთა მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია და მათ იგი გასაჩივრებული აქვთ სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ამ დროისათვის ავჭალაში თბილისის N1 საპყრობილიდან 145 პატიმარია გადაყვანილი.

**"თბილისის N1 საპყრობილე იმდენად გადატვირთულია, რომ იქ სუნთქვაც ჭირს. ავჭალის დაწესებულება, მართალია, ევროსტანდარტებს არ შეესაბამება, თუმცა აქ ნორმალური საცხოვრებელი პირობებია შექმნილი"**, - განაცხადა კოტე კემულარიამ.

პატიმრები, რომელთაც პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებული აქვთ, დღემდე თბილისის N1 საპყრობილეში განსასჯელებთან და ბრალდებულებთან ერთად იმყოფებოდნენ. ახალი ტიპის დაწესებულების შექმნაზე საკანონმდებლო გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის ნოემბერში მიიღო და, შესაბამისად, ცვლილება შევიდა "პატიმრობის შესახებ კანონში".

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ავჭალის დაწესებულების გახსნა, ერთი მხრივ, იმ პატიმრების მდგომარეობას გააუმჯობესებს, რომლებიც ამჟამად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში თავიანთი საქმის განხილვას ელოდებიან და, მეორე მხრივ, თბილისის N1 საპყრობილეს განტვირთავს, სადაც პატიმართა რიცხვი დასაშვებ რაოდენობას 1000-ით აღემატება.

ავჭალის ახალ, N10 საპყრობილეში ამ დროისთვის 145 პატიმარია გადაყვანილი. იგი 250 პატიმარზეა გათვლილი. ახალი საპატიმრო დაწესებულების სარემონტო სამუშაოებისა და აღჭურვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 145 ათასი ლარი დაიხარჯა.

ამავე საპყრობილეში პატიმართა დასაქმების სპეციალური პროგრამები ამუშავდება.

ახალი დაწესებულების პრეზენტაცია ამხანაგური საფეხბურთო მატჩით აღინიშნა. ავჭალის კოლონიის სტადიონზე გამართული მინიფეხბურთი, რომელიც რუსთავის N1 დაწესებულებისა და ქსნის დაწესებულების საფეხბურთო გუნდებს შორის შედგა, ანგარიშით 0:1 დასრულდა. მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯი ტრისტან ნიშნიანიძე მსაჯობდა. პატიმარ ფეხბურთელებს მატჩის დასრულების შემდეგ საჩუქრად სუვენირები გადაეცათ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შუალედური მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნებისთვის საუბნო კომისიების დაკომპლექტება ხუთივე საარჩევნო ოლქში გუშინ დაიწყო.

საუბნო კომისიაში 9 წევრი გაერთიანდება. აქედან 3-3-ს საოლქო კომისია თავად შეარჩევს, დანარჩენი წევრები კი ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურმა პარტიებმა თავად უნდა დაასახელონ. შესაბამისად, საუბნო კომისიაში 2-2 წევრი ეყოლებათ "ნაციონალურ მოძრაობას, "მრეწველები-ახლებსა" და "ლეიბორისტებს". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ახალი ინიციატივით გამოდის. სერგეი ბაგაფში ქართულ მხარეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთავაზობს, აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, კონტროლის დაწესებაზე პასუხისმგებლობა კონფლიქტის ზონაში მოქმედ რუსეთის სამშვიდობო ძალებს დაეკისროს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გორში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილების გათავისუფლებას, საქართველოში რუსეთის ელჩის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც სთხოვს. გორში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილების გიორგი ზასეევისა და იოსებ კოჩიევის გათავისუფლებაში დახმარების თხოვნით სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევმა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელს როი რივსა და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელს პოლ კასტელს გუშინ სპეციალური წერილით მიმართა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის და საგზაო მაგისტრალის აღდგენას ის რუსული ფონდები დაეხმარებიან, რომლებიც უცხოელი თანამემამულეებისაგან ფინანსდებიან. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის ალექსანდრე ანქვაბის თქმით, რუსეთის ფირმა "ტულა-პროექტმა" თავისი პროექტი წარადგინა, რომელიც ფსოუ-სოხუმის და ბზიფი-რიწის ტბის საავტომობილო მაგისტრალის აღდგენას შეეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზი სეპარატისტები სოხუმთან ახლოს 15-დან 19 აგვისტომდე ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს ჩაატარებენ. სეპარატისტების თავდაცვის მინისტრის სულთან სოსნალიევის განცხადებით, წვრთნებში 6 ათასამდე მებრძოლი, ფლოტი, არტილერია და ავიაცია მიიღებს მონაწილეობას. სოსნალიევის განცხადებით, მათ წვრთნების დაწყება 15 აგვისტოს სპეციალურად დაამთხვიეს, რადგან 1992 წელს სწორედ 14-15 აგვისტოს დაიწყო ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 13 აგვისტოს ეროვნულ სასწავლო ცენტრში "კრწანისი" "სტაბილურობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების ოპერაციების პროგრამით" (SSOP) გაწვრთნილი მე-2 მსუბუქი ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის გამოშვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 558-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ ოთხთვიანი სტაბილურობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების ოპერაციების პროგრამისა და სამშვიდობო ოპერაციების უზრუნველყოფის სწავლების სრული კურსი წარმატებით გაიარა. **მედიანიუსი**

## ბენზინგასამართ სადგურზე თავდასხმაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სამართალდამცველებმა თბილისში, ბენზინგასამართ სადგურ "ნუკოილზე" თავდასხმაში ეჭვმიტანილი კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულები არიან - კოდორის ხეობის სოფელ ვარდნაში მცხოვრები 25 წლის სპირიდონ გუჯეჯიანი, მეტსახელად "გოგიტა", და სოფელ გენწვისში მცხოვრები 22 წლის გელა მიფჩუანი.

პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული პირები თავს დაესხნენ გურამიშვილის გამზირზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურ "ნუკოილს" და, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, 210 ლარი და "ნაგანის" სისტემის რევოლვერი გაიტაცეს. გატაცებული თანხა ამოღებულია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა. საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს განყოფილება იძიებს.

*ინტერპრესნიუსი*

## ბათუმის უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს

გუშინ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია და რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ მგელაძე ოფიციალურად წარადგინა.

ღონისძიებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე დაესწრო.

**ნუგზარ მგელაძე** ქალაქ ბათუმში 1958 წელს დაიბადა.

სკოლა ბათუმში დაამთავრა. 1979 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. ამავე წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში. 1983-1986 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო 1988-1991 წლებში - დოქტორანტურაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში.

1986 წელს, ერევანში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში დისერტაცია დაიცვა და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1992 წელს სტაჟირებაზე მიიწვიეს ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, ისტორიული და ანთროპოლოგიური მეცნიერების სფეროში თანამედროვე მიღწევების გასაცნობად.

იმავე, 1992 წელს, მოსკოვში ისტორიის მეციერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა. 1992 წლიდან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, რომ 1991-1995 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 2004 წლიდან არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად.

ნუგზარ მგელაძე 2 სამეცნიერო მონოგრაფიისა და 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და სამეცნიერო-პოპულარული საგაზეთო წერილის ავტორია. უკანასკნელ ათწლეულში მოპოვებული აქვს ორი საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი. ნუგზარ მგელაძე პერიოდული სამეცნიერო კრებულის - "კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში" - რედაქტორია.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

*24 საათი*

## ნიგერიაში დაკავებული ქართველი მეზღვაური, შესაძლოა, დღეს გაათავისუფლონ

ნიგერიაში დაკავებული ქართველი მეზღვაური, 34 წლის სულხან ჯორბენაძე 12 რუს მეზღვაურთან ერთად, შესაძლოა, გაათავისუფლონ. მათი თავდებით გათავისუფლების საკითხზე ლაგოსის სასამართლო კიდევ ერთხელ იმსჯელებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქართველ მეზღვაურს, მიღწეული შეთანხმების თანახმად, თავდებად დაუდგება ნიგერიაში რუსეთის საკონსულო.

დაკავებულები პანამის დროშით მცურავი გემის "აფრიკენ პრაიდის" ეკიპაჟის წევრები არიან. გემი ნიგერიაში კონტრაბანდული ნავთობის გადატანის ბრალდებით დააკავეს, თუმცა უშუალოდ მეზღვაურების ბრალეულობა ამ ეტაპზე არ იკვეთება.

საქმის არსებითი განხილვა 21 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. მეზღვაურები, თავდებით გათავისუფლების შემთხვევაში, პროცესის დასრულებამდე ნიგერიაში რუსეთის საკონსულოს ტერიტორიაზე იცხოვრებენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ქართული მხარე აფხაზთა არაკორექტულ გამონათქვამებს დისკრიმინაციულს უწოდებს

"საქართველოს რკინიგზის" დელეგაციის სამი წევრის სოხუმში არშეშვებასთან დაკავშირებით, კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეგნებულად არ აქცევდა ყურადღებას აფხაზთა არაკორექტულ გამონათქვამებს, მაგრამ ქართული მხარის თავშეკავებული პოზიცია სეპარატისტებმა არაადეკვატურად აღიქვეს.

"აფხაზური მხარის დღევანდელი პოზიცია, რომლის მიხედვით, თურმე, აფხაზეთიდან დევნილებს ფსოუ-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთზე მუშაობის უფლება არ აქვთ, არის დისკრიმინაცია და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს," - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფსოუ-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთის დათვალიერება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის წინაპირობა სულაც არ არის, მაგრამ ეს კეთილი ნების გამოხატულება და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. "თუმცა, დე ფაქტო ხელისუფლების არაკორექტული და დისკრიმინაციული გამონათქვამები თანამშრომლობის პროცესს აფერხებს და მოლაპარაკებების პროცესს ჩაშლით ემუქრება," - ნათქვამია განცხადებაში.

*მედიანიუსი*

## პრეზიდენტმა 54 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 54 მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა. შეწყალებულთაგან 39 პატიმრობიდან გათავისუფლდება, ხოლო დანარჩენებს პატიმრობის ვადა გაუნახევრდებათ.

პრეზიდენტს შესაწყალებელ პატიმართა სია პრეზიდენტთან არსებულმა შეწყალების კომისიამ ორი კვირის წინ წარუდგინა.

შეწყალებულ მსჯავრდებულთა შორის 2 ქალი და 4 არასრულწლოვანია.

შეწყალებულნი არიან ის პატიმრები, რომელთაც მძიმე დანაშაული არ აქვთ ჩადენილი და პირველად არიან სამართალში მიცემულნი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რიჩარდ მაილსმა საქართველო დატოვა

საქართველოში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა გუშინ დილით საქართველო დატოვა. მაილსი მეუღლესთან ერთად ვაშინგტონში, საკუთარ სახლში გაემგზავრა. ამით მან დიპლომატიური საქმიანობა დაასრულა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მაილსი სრული დატვირთვით მუშაობას აღარ აპირებს. სავარაუდოდ, ის კენედის ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოში შევა, რომელიც სხვადასხვა პოლიტოლოგიურ კვლევებს აწარმოებს. როგორც უკვე ყოფილმა ელჩმა განაცხადა, მას ამერიკაში ბოლო ოცი წელია აღარ უცხოვრია, ახლა კი შვილებთან მეტი დროის გატარებას აპირებს.

"საქართველოს, ერთდროულად, სიხარულით და დიდი სევდით ვტოვებ. აქ გატარებული სამი წელი შესანიშნავი იყო. "ვარდების რევოლუცია", რეფორმები, შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი - ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. აქ უამრავ მეგობარს ვტოვებ, მაგრამ მეც და ჩემმა მეუღლემაც უკვე 60 წელს გადავაბიჯეთ, ეს საპენსიო ასაკია. ვფიქრობ, დასვენების დრო მოვიდა, თანაც, ამერიკაში ბოლო 20 წელია არ გვიცხოვრია. ახლა სახლში დავბრუნდებით, დავისვენებთ და მთელ დროს შვილებთან გავატარებთ. საქართველო მართლაც მშვენიერი ქვეყანაა, უზარმაზარი პოტენციალით," - განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

*ინტერპრესნიუსი*

# მხოლოდ თორმეტი გაიმარჯვებს!

### "საქაერონავიგაციის" კონკურსი დასრულდა

*"საქაერონავიგაციაში" მიმდინარე საგამოცდო კონკურსის მეოთხე ეტაპი გუშინ დასრულდა. თორმეტი გამარჯვებული 11 თვის განმავლობაში საქართველოში დაეუფლება საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურის სპეციალობას, კვალიფიკაციას ინგლისში, ქალაქ ბასში აიმაღლებს, შემდეგ კი მათ მაღალანაზღაურებად სამსახურში "საქაერონავიგაცია" დაასაქმებს. თუმცა, ნაწილს შესაძლებლობა ექნება, სამუშაო სხვა ქვეყნების სანავიგაციო სამსახურებშიც მიიღონ.*

გიორგი სიხარულიძე

ამიერკავკასიაში, ჯერჯერობით, არ არსებობს თანამედროვე ტიპის მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავიაციო სასწავლებელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეების (დისპეტჩერების) მომზადება-გადამზადება. სასწავლო ცენტრი, რომელიც "საქაერონავიგაციისა" და ინგლისური კომპანია "ASTAC LTD"-ს მიერ იქნა ერთობლივად დაფუძნებული, გათვლილია არა მხოლოდ ქართველი სპეციალისტების მომზადებაზე, არამედ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებსაც მოემსახურება.

**"მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მაინც შევძელით ამ სასწავლებლის გახსნა, ეს არის ინგლისურ-ქართული სასწავლებელი, რომელიც სრულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. მის დიპლომს ცნობს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაო) და, შესაბამისად, მთელი მსოფლიო. ამდენად, "საქასტაკის" კურსდამთავრებულებზე მოთხოვნილება უცხოეთის ნავიგაციებშიც იქნება. თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანი საქართველოსთვის პროფესიონალი კადრის მომზადება გახლავთ. საქმე ის არის, რომ "საქაერონავიგაციის" და ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ ნავიგაციაში ხელოვნურად იქნა შექმნილი საკადრო ვაკუუმი. მოხდა წყვეტა, რაც დაუშვებელია,"** – ამბობს "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი.

როგორც ირკვევა, საქართველოს ერთი ასეთი დისპეტჩერის მომზადება საზღვარგარეთ წლიურად 90 ათას დოლარამდე უჯდება. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სასწავლო ცენტრი საქართველოში გახსნილიყო. ამისათვის, "საქაერონავიგაცია" "ASTAC LTD"-ს დაუკავშირდა, რომელიც ინგლისში მდებარეობს. მის მფლობელობაშია ცნობილი "რუდლო კოლეჯი". ეს გახლავთ ერთ-ერთი წამყვანი სასწავლებელი, რომელიც უშუალოდ ავიაციასა და ნავიგაციაზეა ორიენტირებული. ერთობლივ სასწავლებელს, რომელიც თბილისში ორიოდ თვის წინ დაფუძნდა, "საქასტაკი" ეწოდა. მის ხელმძღვანელად კი ინგლისელი სპეციალისტი დაინიშნა. კარბელაშვილი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიზანმა განაპირობა: **"ჯერ ერთი, ის უფრო გამოცდილია, რამეთუ ათობით წელია, ამ სფეროში მოღვაწეობს. ამასთან, ასეთი კადრის დანიშვნით, ჩვენ ერთი-ორად ავიმაღლეთ იმიჯი საერთაშორისო დონეზე. ამასთან, გამორიცხული იქნება ისეთი ჭორებიც, რომლებიც "ჩაწყობებსა" და მისთანა გარიგებებზე მიუთითებს. ამ ხალხმა საჰაერო და, შესაბამისად, ათასობით ადამიანის უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნოს, და არ შეიძლება, ამ სპეციალობის დაუფლება და ამ ადგილზე მოხვედრა იოლი იყოს."**

ამავე მიზნით, გამოცდაზე მოწვეულ იქნა საზოგადოებრივი საბჭოც, რომელიც თვალყურს ადევნებდა გამოცდის მიმდინარეობას. **"გამოცდაზე მოულოდნელად შევედით. რა თქმა უნდა, გამომცდელებისგან და გამოსაცდელებისგან ჩვენ თვალწინ ნებართვაც აიღეს, არც ერთს საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს. სიმართლე გითხრათ, აღფრთოვანებული დავრჩი ამ აბიტურიენტის მონაცემებითა და გონებრივი შესაძლებლობებით. ეს არ იყო გამოცდა კონკრეტულად ნავიგაციის ან ავიაციის შესახებ. ინგლისელი გამომცდელი, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია, აბიტურიენტების ზოგად ინტელექტსა და შესაძლებლობებს ამოწმებს. ჩემი ფუნქცია დაკვირვება იყო, და დავრწმუნდი, რომ გამოცდა გამჭვირვალედ და ყველანაირი ქვემიზნების გარეშე მიმდინარეობს. თუმცა, თავიდანვე ასეთი შეგრძნება მქონდა, როცა გავიგე, რომ გამოცდას ინგლისური მხარე ატარებდა. ინგლისელები ის ხალხია, ვისი მოსყიდვის მეთოდი ჯერ ვერ მოიგონეს. ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ერთ სფეროში მაინც გაიხსნა ამ დონის სასწავლებელი. დღეს ჩემს დიპლომს მსოფლიო არ ცნობს და დიდი ძალისხმევის შემდეგ, შესაძლოა, ჩემი დოქტორის ხარისხით, საზღვარგარეთ მხოლოდ ასისტენტის თანამდებობა მოვიპოვო. ამ კურსდამთავრებულებს კი "იკაო" აღიარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობა. თუმცა, მგონი, ამ ჯერზე საქართველოს ნავიგატორები უფრო სჭირდება,"** – ამბობს ერთ-ერთი დამკვირვებელი ლევან ბერძენიშვილი.

რამდენიმე თვის წინათ გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი 100-ზე მეტმა აპლიკანტმა შეიტანა. მეოთხე ეტაპზე, რომელიც გუშინ გაიმართა, დარჩენილი 32-დან მხოლოდ თორმეტი შეირჩა, მათი სახელები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. სწავლას სტუდენტები მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყებენ. ამ დროისთვის დასრულდება "საქასტაკის" მშენებლობაც, რომელიც თბილისის აეროპორტთან, "საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე განთავსდა.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რუსული გემები გონიოს ნაპირს მიადგნენ



რუსული სადესანტო გემები "ნიკოლაი ფილჩენკო" და "აზოვი" გონიოს სანაპიროს გუშინ მიადგნენ. ამ დროისთვის გონიოს პოლიგონზე თავმოყრილი ჯავშანტექნიკის დატვირთვა მიმდინარეობს. პირველი ერთეული ტექნიკა უკვე გემზე გადაიტანეს. თუ კლიმატურმა პირობებმა შეუწყო ხელი, სადესანტო ხომალდებზე რუსული ჯავშანტექნიკის დატვირთვა, შეთანხმების მიხედვით, 20 აგვისტომდე უნდა დასრულდეს. *ინტერპრესნიუსი*

# იუშჩენკო, საქართველო და სიურპრიზი პრეზიდენტებისაგან

პირველი გვერდიდან

მოკლედ, სიურპრიზები იუშჩენკოს საქართველოში ყოფნის პირველივე წუთებიდან დაიწყო. თბილისის აეროპორტში მისი თვითმფრინავი დღის ოთხი საათისთვის დაჯდა. იუშჩენკოს საქართველოს პრეზიდენტი აეროპორტშივე დახვდა. პრეზიდენტებს აეროპორტის ტერიტორია არ დაუტოვებიათ - ვერტმფრენში ჩასხდნენ და ორ წუთში ჰაერში აღმოჩნდნენ. ყველას ეგონა, რომ ვერტმფრენმა გეზი ბორჯომისკენ აიღო (ორი ქვეყნის პრეზიდენტს სწორედ იქ ელოდნენ). თუმცა, სულ მალე გაირკვა, რომ ისინი, ბორჯომის ნაცვლად, კახეთში, თელავის რაიონის სოფელ სანიორეში გაემგზავრნენ.

ამასობაში, ბორჯომი გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. ელავდნენ მასპინძლები, ელავდნენ ღონისძიების მონაწილენიც, რადგან უკვე არავინ იცოდა, როდის ჩავიდოდნენ სააკაშვილი და იუშჩენკო ბორჯომში.

კახეთში სტუმრებმა, როგორც ამბობენ, მხოლოდ ისადილეს. პრეზიდენტები თელავის რაიონის სოფელ სანავარდოში ბიზნესმენ ნოდარ საქუაშვილს ესტუმრნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ სოფელში გუშინ, დილიდანვე გამოჩნდნენ როგორც პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები, ასევე კახეთის ძალოვანი სტრუქტურების თითქმის სრული შემადგენლობა.

სადილის შემდეგ პრეზიდენტები, როგორც იქნა, ბორჯომში გაემგზავრნენ.

ლიკანის რეზიდენციაში ვიქტორ იუშჩენკომ და მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რის შემდეგაც მოკლე პრესკონფერენცია გაიმართა.

დეკლარაციაში ორ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე, რეგიონში სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე, ეკონომიკის წინსვლაზეა საუბარი. გუშინვე გაირკვა, რომ მალე უკრაინაში სამიტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შავი ზღვისა და კასპიის აუზის ქვეყნების ლიდერები, ასევე რუსეთის, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. უკრაინის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა მალე განხორციელდება და მას მხარს ყველა ის ქვეყანა დაუჭერს, რომელთათვისაც დემოკრატიულ განვითარებას ალტერნატივა არ აქვს. ერთი სიტყვით, ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა პრიორიტეტებად სწორედ დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება დაასახელეს, არა მხოლოდ საკუთარ ქვეყნებში, არამედ მთელ რეგიონში.

გვიან საღამოს პრეზიდენტებმა ბორჯომის პარკის გახსნაში მიიღეს მონაწილეობა, რის შემდეგაც საზეიმო კონცერტი გაიმართა.

# ოპოზიციური ლიდერის ძმობა საშიშია

პირველი გვერდიდან

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ხიდაშელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ძმაზე "გასვლას" სამართალდამცავები სწორედ ირაკლი სიორიძის მეშვეობით "ცდილობენ", რომელიც სასტიკად არის ნაცემი მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მისგან გიორგი უსუფაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას ითხოვდნენ.

**"ირაკლი სიორიძეს სხეულზე ცემის კვალი ეტყობა. იგი თავადაც აცხადებს, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დათა ახალაიამ პირადად სცემა. ცემის დეტალების შესახებ მან სახალხო დამცველსა და პროკურატურის წარმომადგენელს დაწვრილებით მოუთხრო. ცემის ფაქტი სამედიცინო ექსპერტის დასკვნითაც დასტურდება,"** - აცხადებს თინათინ ხიდაშელი.

მთელი ეს ისტორია კი იმით დაიწყო, რომ 2002 წელს კოჯორში, ელექტროგაყვანილობის მიზეზით, შვიდ ოჯახში ხანძარი გაჩნდა და შვიდივე სახლი დაიწვა. ამ ოჯახებმა, რომელთა ადვოკატიც გიორგი უსუფაშვილი იყო, "თელასს" უჩივლეს. დავა რამდენიმე წელს გაგრძელდა. 2005 წლის ივნისში უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქმის აღსრულების შეჩერება გაუქმებულად გამოცხადდა და დაზარალებულ კლიენტებს თანხა დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატამ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა, რადგან მიიჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ იყო.

თინათინ ხიდაშელის აღშფოთებას ისიც იწვევს, რომ სამართალდამცავებმა ირაკლი სიორიძე 3 აგვისტოს დააკავეს, მაშინ როდესაც გენერალურ პროკურატურაში საჩივარი სიორიძეზე შევიდა... 5 აგვისტოს.

**"ხელისუფლებას სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიცემული აქვს ძალიან კონკრეტული შეკვეთა, ბრძანება და დავალება, რომ ყველანაირად ეცადონ ოპოზიციის, ამ შემთხვევაში, რესპუბლიკური პარტიის ლიდერების კომპრომეტირებას,"** - მიიჩნევს თინათინ ხიდაშელი, რომელიც იქვე დასძენს, რომ ამ საქმეს ბოლომდე გაყვება და, ირაკლი სიორიძის ცემისთვის, დათა ახალაიას პასუხს აგებინებს.

# სკანდალი გამომცემლობის გარშემო

პირველი გვერდიდან

ოპოზიცია დამოუკიდებელ გაზეთებს პროსახელისუფლებოდ მიიჩნევს, რასაც დაბეჭდვაზე უარის თქმაც უკავშირდება. არგუმენტად ჟურნალისტებს ის მოჰყავთ, რომ ოპოზიციური გაზეთები, ისეთები, როგორიცაა "ფორუმი" და "ნოვი დენ", იგივე სტამბაში უპრობლემოდ იბეჭდება.

ჟურნალისტები იმანაც აღაშფოთა, რომ სახელმწიფო სტამბაში თავს უფლებას აძლევენ, მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის – ლეონიდ ლაკერბაიას აზრს ანგარიში არ გაუწიონ.

ასეა თუ ისე, რომან არღუნი უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამივე დამოუკიდებელი გაზეთი ძალზე გავლენიანია, ხელისუფლება მათ აზრს ანგარიშს უწევს, თუნდაც იმის გამო, რომ მათმა საქმიანობამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს რეჟიმის შეცვლას შეუწყო ხელი. ამჟამად მათ შესწევთ ძალა, გამომცემლობის დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლებას მიაღწიონ. როგორც ჩანს, ისინი სწორედ ამის გაკეთებას აპირებენ.

"ნუჟნაია გაზეტაში" და "ჩეგემსკაია პრავდაში" გამომცემლობის მუშაობის გარკვეული დეტალები გამოქვეყნდა. საუბარია არა მხოლოდ საწარმოს სავალალო მდგომარეობაზე, ქრთამების ჩამოყალიბებულ სისტემაზე, არამედ ერთი კომერციული პროექტის დეტალებზეც. "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" ბაზაზე ერთი წლის წინ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კერძო საწარმო შეიქმნა. თუმცა, ფაქტობრივად, ეს კერძო საწარმო სახელმწიფო ბიუჯეტმა დააფინანსა. სტამბის შექმნაზე განათლების სამინისტროსა და აფხაზური ენის განვითარების ფონდის სახსრები დაიხარჯა. თანხები არც ბიუჯეტში დაბრუნებულა და არც იმ სტრუქტურებში, რომელთა ანგარიშებიდანაც ფული კერძო სტამბაში მოხვდა.

ფასები ახალ საწარმოში ისეთია, რომ, როგორც აფხაზური ენის განვითარების ფონდში ამბობენ, აუცილებელი ლიტერატურის გამოცემა რუსეთში უფრო იაფი ჯდება. რომან არღუნი ამ საწარმოს ერთ-ერთი დამფუძნებელია. სახელმწიფო თანხების კერძო საწარმოს შესაქმნელად გადაქაჩვის სქემა გამჭვირვალეა. თუმცა, დამნაშავეები ამ საქმეში მაინც ვერ იპოვეს, და არც უძებნიათ. ახლა დამოუკიდებელი გაზეთები "ბეჭდვითი სიტყვის სახლის" საქმიანობით სამართალდამცავი ორგანოების დაინტერესებას ცდილობენ.

# ვანო მერაბიშვილი რუს სამშვიდობოებს კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა საქართველოში კონტრაბანდული ტვირთის შემოტანის კიდევ ერთი ფაქტი გამოავლინეს. ტყვიავის საგუშაგოზე 12 ყუთი კონტრაბანდული სიგარეტისა და დიზელის საწვავით დატვირთული ავტომანქანები გააჩერეს, რომელსაც, ასევე, რუსი სამშვიდობოები აცილებდნენ.

ვანო მერაბიშვილი რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელ პირებს თანამშრომლების მოქმედებების გაკონტროლებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ საქართველო კვლავაც გააგრძელებს კონტრაბანდული ტვირთების შემოტანის აღკვეთას.

შს მინისტრი 14 აგვისტოს ზუგდიდს ესტუმრება და იმ სამართალდამცველებს დააჯილდოებს, რომლებმაც კონტრაბანდული ტვირთების შემოტანის აღკვეთაში მონაწილეობა მიიღეს.

რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტრაბანდული ტვირთის გალიდან ზუგდიდში გადატანის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**"საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, სადაც რუს სამხედროებს კონტრაბანდული ტვირთის თავისუფლად გადატანა შეუძლიათ",** - განაცხადა მერაბიშვილმა.

*24 საათი*

# IFAD-ის მხარდაჭერით შუახევში ვაზის 12 ათასი ნერგი გამოიყვანეს

პირველი გვერდიდან

ზვრების უმეტესობა გაიჩეხა და 2001 წლისთვის შუახევის რაიონში დაბლობი ვენახის პლანტაციები 8,8 ჰექტრამდე, ყურძნის საერთო მოსავალი კი 46 ტონამდე დავიდა. სიახლეა ის ფაქტი, რომ ზვრების გაშენება გათვალისწინებულია გაუმჯობესებული ტექნოლოგიით მიღებული, სანერგეში გაუტარებელი, სპეციალური ნაზავით შევსებულ პოლიეთილენის პარკებში აღზრდილი ნამყენი ნერგებით. აღსანიშნავია, რომ ნერგს კარგად შეხორცებული ნამყენი ადგილი და 4-5 ფოთლიანი ყლორტი გააჩნია, გადარგვის შემდეგ არ საჭიროებს ფხვიერი მიწის კოკოლის გაკეთებას, რაც, გარკვეულად, ამსუბუქებს მევენახის შრომას და იგი ერთი წლით აჩქარებს ვაზის ზრდა-განვითარების პროცესს.

ზემო აჭარის მაღალმთიან სოფლებში ვაზის გაშენება ხელს შეუწყობს არა მარტო მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, არამედ ეროზიული პროცესების შეჩერებას.

*24 საათი*

# „ნუ შეხვალთ კონფლიქტში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებთან"

"ჩვენთან კონფლიქტს არ გირჩევთ," - ამ გაფრთხილებას ფინანსური პოლიცია იძლევა. ამ უწყების მიერ ორი დღის წინ სპეციალურად გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 200 ლარამდე ღირებულების უაქციზო სიგარეტი 500 ლარით ჯარიმდება, 2 ათას ლარამდე ღირებულების – 10 ათას ლარამდე, ხოლო 2 ათას ლარს ზემოთ ღირებულების უაქციზო სიგარეტზე პატიმრობაა გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ახალი კანონმდებლობით, სამართალდარღვევისთვის უმკაცრესი სანქციები დაწესდა.

ფინანსური პოლიცია კონტრაბანდული სიგარეტით მოვაჭრეებს მკაცრ გაფრთხილებას აძლევს და სწორედ ამ გამკაცრებული კანონმდებლობით დაწესებულ სანქციებს შეახსენებს.

"თბილისის უაქციზო სიგარეტისგან გასაწმენდად, ერთ კვირაზე მეტია, სპეციალური რეიდები მიმდინარეობს. ბაზრობებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რეიდებს ფინანსურ პოლიციასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია და საგადასახადო სამსახური ახორციელებენ. უაქციზო სიგარეტით მოვაჭრეებს მოვუწოდებთ, ნუ ჩაიგდებენ თავს საფრთხეში, ნუ შევლენ კონფლიქტში ფინანსურ პოლიციასთან, რადგან, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, პოლიცია უფლებამოსილია, ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს" – ასეთი გახლავთ ფინანსური პოლიციის მიერ გავრცელებული გამაფრთხილებელი განცხადების მოკლე შინაარსი.

ამ გაფრთხილების შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდის ცენტრალურ ბაზარში მოულოდნელი რეიდი ჩაატარეს.

რეიდი მიზნად ისახავდა უაქციზო ალკოჰოლური სასმელებისა და, ასევე, რუსულაქციზიანი სიგარეტის ამოღებას. შეგახსენებთ, რომ კონტრაბანდული სიგარეტი და ალკოჰოლური სასმელები ზუგდიდის ტერიტორიაზე, ძირითადად, აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოდის.

როგორც პოლიციაში აცხადებენ, ზუგდიდის ბაზარში ჩატარებული სპეცოპარეციის შედეგად აღმოჩენილია დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი და უაქციზო ალკოჰოლური სასმელები. სასმელები და სიგარეტი ამოღებულია; მიმდინარეობს გამოძიება; დაჯარიმებულია რამდენიმე მოვაჭრე. მათ გამკაცრებული კანონმდებლობით დაეკისრებათ ადმინისტრაციული სასჯელის გადახდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ათი ათას ლარს შეადგენს..

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, რეიდები გაგრძელდება ზუგდიდის სავაჭრო ობიექტებშიც და მიმდებარე სოფლებშიც.

*24 საათი*

# სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო ორგანიზაციებს თხოვნით მიმართავს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გორში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილების გათავისუფლებას საქართველოში რუსეთის ელჩსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს.

გორში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილების გიორგი ზასეევისა და იოსებ კოჩიევის გათავისუფლებაში დახმარების თხოვნით სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს როი რივსა და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელს პოლ კასტელს დღეს სპეციალური წერილით მიმართა.

ჯიოევი იმედოვნებს, რომ "ტერაქტში ეჭვმიტანილთა საქმის გამოძიებაში ეუთო-ს მონაწილეობა ნათელს მოჰფენს ოსი მოქალაქეების მიმართ ქართული მხარის მიერ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას".

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დავით სანაკოევმა დაკავებულთა საქმის გასაცნობად და შემდგომ მათი გათავისუფლების მოთხოვნით, ასევე - წამებებთან დაკავშირებით დახმარებისათვის მიმართა გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელს მანფრედ ნოვაკსა და ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში "საერთაშორისო ამნისტიის" ხელმძღვანელს ანე ზუნდერ-პლასმანს.

გორში 1 თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილები ქართველმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად მიმდინარე წლის 17 ივლისს დააკავეს. დაკავებულთა შორის აღმოჩდნენ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი ეროვნების მოქალაქეები გიორგი ზასეევი და იოსებ კოჩიევი. ცხინვალის ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ქართველი სამართალდამცავების მიერ 25 ივლისს დაკავებული ოსი მოქალაქის გიორგი ვალიშვილის გათავისუფლებას მოითხოვს.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

### თბილისის მეტროპოლიტენის ვეტერან-მშენებელთა ღია წერილი

ბატონო პრეზიდენტო,

გულისტკივილით უნდა ვაღიაროთ, რომ 1991 წლიდან თბილისის მეტროპოლიტენის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მიმდინარეობს. მხოლოდ 1997 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის №606 ბრძანებულების შესაბამისად, 1998-2000 წლებში გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელი გახდა საბურთალოს ხაზის სადგურის "ვაჟა-ფშაველას" ერთი გადასარბენი გვირაბით და სატრანსპორტო-სავენტილაციო სისტემების იძულებით დროებითი სქემით ექსპლუატაციაში გაშვება.

ასეთი სქემით მუშაობა საფრთხეს უქმნის მეტროპოლიტენის ექსპლუატაციას და რამდენიმე წლით გაგრძელების შემთხვევაში დაუშვებელია.

აღნიშნული ბრძანებულებით, 2000 წელს მთლიანად უნდა დამთავრებულიყო საბურთალოს ხაზი სადგურ "უნივერსიტეტით", მაგრამ ქალაქის მჭიდრო დასახლებული რაიონის მოსახლეობა ამაოდ ელოდებოდა მაშინდელი მთავრობის მრავალი დაპირების შესრულებას.

უკვე 15 წლის განმავლობაში მშენებარე მეტროპოლიტენის ობიექტებზე მიმდინარეობს მხოლოდ უნაყოფო მოვლა-შენახვითი სამუშაო (წყლის ამოტუმბვა, ფეთქებადსაშიში აირის - მეთანის განიავება, განათება და სხვა). ამას ემატება ხის ნაწილების ლპობა, ლითონის კონსტრუქციების და მოწყობილობების კოროზია. ამ ფუჭმა ხარჯებმა 1991-2004 წლებში შეადგინა 20 მილიონამდე ლარი, რაც საკმარისი იქნებოდა სადგურ "უნივერსიტეტის" გასაშვებად.

ავარიასაწინააღმდეგო სამუშაოების მინიმალური მოცულობითაც ჩაუტარებლობის გამო "რუსთაველი-2 - ვაზისუბნის" ხაზის მონაკვეთზე შეიქმნა ავარია - საშიში მდგომარეობა. ქალაქის ინტენსიური განაშენიანების ქვემოთ გაყვანილია რამდენიმე ათეული გამონამუშევარი (მათი საერთო სიგრძე 3 კმ-ს აღემატება), რომელთა უმეტესობა მუდმივი სამაგრის გარეშეა და იქ შეინიშნება მნიშვნელოვანი აშრევება. ამ ადგილებში არ არის გამორიცხული ზედაპირული დეფორმაციების მოულოდნელი წარმოქმნა არასასურველი მძიმე შედეგებით.

გადასაწყვეტია, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურების "ახმეტელის თეატრის" და "მარჯანიშვილის" მეორე ამოსასვლელების საკითხი, სადაც შესრულებულია მთლიანი ღირებულების 50-60 პროცენტი.

ჩვენ, მეტრომშენებლობის ვეტერანებს, ბატონო პრეზიდენტო, ძალიან გვჯერა თქვენი და იმედი გვაქვს, რომ თქვენ არ დააყოვნებთ და დაავალებთ სათანადო უწყებას, განიხილონ აღნიშნული საკითხი ერთად და წარმოადგინონ პროექტი თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის გაგრძელების და პირველ რიგში საბურთალოს ხაზის დამთავრების შესახებ.

*ღრმა პატივისცემით მეტრომშენებლობის ვეტერანები:*

**ბ. ფაჩულია** - ყოფილი მთ. ინჟინერი, საქართველოს გვირაბმშენებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **ა. ყურაშვილი** - ინჟინერ-მეტრომშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **კ. კილაძე** - მთ. სპეციალისტი, სახელმწიფო ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **მ. დათებოვი** - ინჟინერ-მეტრომშენებელი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **ი. გიგოლაევი** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **ბ. ხუგაშვილი** - ინჟინერ-მეტრომშენებელი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **გ. კეკელიძე** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი; **ა. გუსეინოვი** - ინჟინერ-მეტრომშენებელი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **ნ. მაღლაკელიძე** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **მ. ბუაძე** - ინჟინერ-მშენებელი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **ა. ჯოხაძე** - ელექტრო-ზეინკალი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **გ. კალანდარიშვილი** - მთ. სპეციალისტი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **რ. ნადარაია** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **თ. ელბაქიძე** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი; **ვ. პეტრიაშვილი** - გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სახელმწიფო ორდენების კავალერი.

## როდემდე ვატანოთ წყალს მილიონები?

*მკითხველისათვის აქტუალური ინფორმაციის მისაწოდებლად ვესაუბრებით "თბილმეტრომშენის" მთავარ სპეციალისტს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს კლაუს კილაძეს*

**- რა მდგომარეობაშია ამჟამად თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა?**

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეტროპოლიტენის მშენებლობა შეჩერებულია. გამონაკლისის სახით მხოლოდ 1997 წლის 28 ოქტომბრის პრეზიდენტის N606 ბრძანებულების შესაბამისად გამოიყო სახსრები კაპიტალური მშენებლობისათვის, რითაც 2000 წლის აპრილში ექსპლუატაციაში გაიშვა საბურთალოს ხაზის სადგური "ვაჟა-ფშაველა" ერთი გადასარბენი გვირაბით და სავენტილაციო სისტემების დროებითი იძულებითი სქემებით. ასეთ პირობებში ექსპლუატაცია საფრთხეს უქმნის მეტროპოლიტენის სამსახურების მუშაობას და ხანგრძლივი ექსპლუატაციის შემთხვევაში დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ბრძანებულების მიხედვით საბურთალოს ხაზი სადგურებით "ვაჟა-ფშაველა" და "უნივერსიტეტი" 2000 წელს მთლიანად უნდა დამთავრებულიყო, 2000 წლის მეორე ნახევრიდან შეწყდა მშენებლობის დაფინანსება. ქალაქის მჭიდროდ დასახლებული რაიონის მცხოვრებლები მოუთმენლად ელოდებიან ხელისუფლების მრავალი დაპირების შესრულებას ხაზის დამთავრების და სადგურ "უნივერსიტეტის" ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ.

აღნიშნული გამონაკლისის გარდა, მრავალი წლის განმავლობაში და ამჟამად მშენებარე მეტროპოლიტენის ობიექტებზე მიმდინარეობს მხოლოდ უნაყოფო მოვლა-შენახვითი სამუშაოები (წყლის ამოტუმბვა, ფეთქებად-საშიში აირის - მეთანის განიავება, განათება და სხვა). ამას ემატება ხის ნაწილების ლპობა, ლითონის კონსტრუქციების და მოწყობილობის კოროზია, გრუნტის გამჟონი წყლის ინტენსიობის მომატება. ამ ფუჭმა ხარჯებმა 1990-2004 წლებში შეადგინა 20 მილიონამდე ლარი, რაც სადგურ "უნივერსიტეტის" დასამთავრებლად (17 მლნ. ლარი) სრულიად საკმარისი იქნებოდა.

"რუსთაველი-2-ვაზისუბნის" ხაზზე ქალაქის ინტენსიური განაშენიანების ქვემოთ გაყვანილია 3 კმ-ზე მეტი გამონამუშევრები, ნაწილი ხის გამაგრებით და ზოგი გაუმაგრებელი. მათი ავარიულობა ყოველწლიურად მატულობს გეომეტრიული პროგრესიით. ხაზის დასამთავრებლად საჭიროა დაახლოებით 250 მლნ-მდე ლარი.

გადასაწყვეტია აგრეთვე სადგურების "ახმეტელის თეატრის" (გლდანი) და "მარჯანიშვილის" მეორე ამოსასვლელების საკითხი, სადაც შესრულებულია მთლიანი ღირებულების 60-70 პროცენტი და დასამთავრებლად საჭიროა 4-5 მლნ. ლარი თითოეულზე.

**- თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ შეწყდეს ფუჭი, უნაყოფო ხარჯები?**

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშენებარე მეტროპოლიტენების გაერთიანებული დირექციების ასოციაციის დასკვნის შესაბამისად: "...რადგან მეტროპოლიტენი რთული საინჟინრო მიწისქვეშა მაღალი კაპიტალ და მასალათა ტევადი ნაგებობაა, მისი კონსერვაციის საკითხი, როგორც იდეოლოგია, არ შეიძლება დაყენებულ იქნეს განსახილველად. კრიტიკულ დაფინანსების შემთხვევაში მეტროპოლიტენის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს საჭირო მინიმალური ტექნოლოგიური მოცულობით".

წარმოუდგენელია დიდი ხნით, თითქმის 15 წლით, შეჩერებული იყოს მიწისქვეშა მშენებლობა და მიმდინარეობდეს მხოლოდ ნიადაგქვეშა წყლების ამოტუმბვა, მავნე აირის განიავება და სხვა თანმხლები სამუშაოს შესრულება, წელიწადში მილიონ ნახევარ ლარამდე ღირებულებისა.

მართლაც რომ წყალს გატანილი მილიონებია!

რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დაიწყოს სამუშაო საბურთალოს ხაზის დასამთავრებლად, სადაც შესრულებულია საერთო მოცულობის 85-90 პროცენტი და დარჩენილია დაახლოებით 18-20 მლნ. ლარის სამუშაო. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტში მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები 2 მლნ. ლარის ოდენობით ამოღებული იქნა ბოლო მომენტში, გაუგებარი მიზეზის გამო.

აუცილებელია მიმდინარე წელს ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის პირველ რიგში მოხდეს ზუსტი ინვენტარიზაცია დარჩენილი მოცულობებისა და მათი რეალური ღირებულება არსებულ ფასებში. ამით მივიღებთ დასამთავრებელი ობიექტის ზუსტ ღირებულებას, რაც შემდგომში გააადვილებს ბევრ ტექნიკურ საკითხს და გააიაფებს მშენებლობის ორგანიზაციულ ხარჯებს. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური დოკუმენტაცია იშვიათი გამონაკლისით არსებობს. დიდ სირთულეს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოსთან შედარებით, მოწყობილობის და დანადგარების მონტაჟის ღირებულება. რადგან 300-ზე მეტი დასახელების მოწყობილობის, დანადგარების და სპეციალური ნაწარმის (ზოგიერთის დაკვეთის გაფორმება ხდება 2 წლით ადრე) შეძენა უნდა მოხდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. საჭირო იქნება სპეციალისტების გაგზავნა შესაბამის ორგანიზაციებში და ქარხნებში, მასალის გამოგზავნის გრაფიკის და ღირებულების დასადგენად. რასაკვირველია, მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციამ უნდა შეადგინოს მათთან არსებული მოწყობილობის და დანადგარების ნუსხა რეალური ვარგისიანობის აღნიშვნით.

ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იყოს გაიაფების ღონისძიებები: ძვირად ღირებული გრანიტის და მარმარილოს ამოღება, აგრეთვე შეიძლება წინასწარ გაიცეს ფართი სადგურ "უნივერსიტეტის" მისასვლელებში სავაჭრო კიოსკების და რეკლამის მოსაწყობად, რითაც შეიძლება ერთ მილიონზე მეტი ლარის დაზოგვა.

ხარჯთაღრიცხვის სათანადო ექსპერტიზის და დამტკიცების შემდეგ, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გაფორმდეს პრეზიდენტის ბრძანებულება საბურთალოს ხაზის დამთავრების და ექსპლუატაციაში გადაცემის შესახებ. ბრძანებულებაში აგრეთვე უნდა განისაზღვროს:

- საბურთალოს ხაზთან დამაკავშირებელი განშტოების უმოკლეს ვადაში დამთავრება, საბურთალოს ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ.

- სამთავრობო კომისიის შექმნა, "რუსთაველი 2 - ვაზისუბნის" ხაზის და სადგურების "ახმეტელის თეატრის" და "მარჯანიშვილის" მეორე ამოსასვლელების საკითხის გადაწყვეტა.

**- დაახლოებით რამდენი დაჯდება საბურთალოს ხაზის ექსპლუატაციაში გაშვება და როდის შეიძლება ეს მოხდეს?**

- როგორც მოგახსენეთ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს ღირებულებამ შეიძლება შეადგინოს 18-20 მლნ. ლარი. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის მიერ 1990 წლამდე მიღებული მოწყობილობის, დანადგარების და სპეცნაწარმის ნაწილმა განიცადა ფიზიკური და მორალური ცვეთა, ნაწილი მოიხმარა გამოუვალ მდგომარეობაში მოქმედი მეტროპოლიტენის სამსახურებმა. რასაკვირველია ახალი, მოდერნიზებული მოწყობილობის შეძენა გაზრდის ობიექტის ღირებულებას.

საბურთალოს ხაზის ექსპლუატაციაში გაშვება, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელია ორი წლის განმავლობაში. ვინაიდან ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს დაფინანსებას, ხაზის ჩაბარების თარიღად შეიძლება მიღებულ იქნეს 2007 წლის მეოთხე კვარტალი.

## საუნივერსიტეტო კრიზისის გამომწვევი მიზეზები

ბელა გომელაური
*აშშ განათლებისა და კულტურის სახელმწიფო დეპარტამენტის სტაჟიორი უნივერსიტეტების ადმინისტრირების დარგში, პროფესორი*

საუნივერსიტეტო კრიზისზე პასუხისმგებლობა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრიდან და პარლამენტიდან დაწყებული, უნივერსიტეტის მართვის ქვედა რგოლით დამთავრებული, ყველამ უნდა გაინაწილოს. კრიზისი გამოწვეულია როგორც შიდა ფაქტორებით - ინსტიტუციური მართვის სფეროში დაშვებული შეცდომებით, ასევე, გარე ფაქტორებით - ცვლილებებისთვის სამეცნიერო საზოგადოების მზადყოფნის დაბალი ხარისხითა და სახელმწიფო მართვის დონეზე არსებული ხარვეზებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი უმთავრესი მიზეზი რეფორმის გუნდის პროფესიონალიზმის არასათანადო ხარისხია. თუ გადავხედავთ აღნიშნული გუნდის შემადგენლობას - რამდენი პიროვნებაა, რომელსაც საზოგადოება იცნობს, როგორც უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიმდინარე ცვლილებების მართვის სპეციალისტს, რომლებიც თანამედროვე უნივერსიტეტის მართვის საკითხებზე თავიანთი გამოსვლებითა თუ პუბლიკაციებით პროფესიონალიზმს ავლენენ. ვფიქრობ, რომ რეფორმის გუნდის ასეთი შემადგენლობა არ არის საკმარისი შიდა საუნივერსიტეტო რეფორმის განხორციელებისათვის. ევროსაბჭოს ცნობილი ექსპერტი, პროფესორი კოლინ ლავი წერს: **"უნივერსიტეტის ცვლილებების ძირითადი მიმართულებების სწორი დიზაინი და რეალიზაცია მთლიანად მენეჯმენტის გუნდის ხარისხზეა დამოკიდებული."** მოვუსმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს:" **ჩვენ გვინდა, უმაღლესი განათლების დაწესებულებები გადავაქციოთ ჭეშმარიტად ეროვნული განათლების კერებად, რომლებიც უნდა იდგნენ, იმავდროულად, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს . . . მაღალი დონის სპეციალისტების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად** (იხ. გაზ. "24 საათი", 15 ივლისი 2005).

ძლიერი და პროგრესულად მოაზროვნე, რეფორმის გუნდის შექმნა ჯერ კიდევ არ არის გვიანი და, იმ შემთხვევაში, თუ დავრწმუნდებით რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ მოიძებნება შესაბამისი კადრები, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მსგავსად, მათი მოწვევა გარედანაც შეიძლება. რეფორმის გუნდში მთავარია უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სპეციალისტების გარკვეული შემადგენლობის არსებობა, რათა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ეს უკანასკნელნი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიზისის ერთი მიზეზი მიმდინარე ცვლილებების შესახებ პროფესორ-მასწავლებელთა არაინფორმირებულობაცაა. თსუ რეფორმის გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის გულუბრყვილო განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი შეხვდნენ ფაკულტეტებს და "აუხსნეს" ამ ცვლილებების მნიშვნელობა, არაპროფესიონალიზმი და რეფორმის ელემენტარული მოთხოვნების იგნორირებაა. ვიდრე თსუ-ში, დასავლეთის უნივერსიტეტების მსგავსად, არ შეიქმნება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და ხარისხის მართვის სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური სტრუქტურა და ამ უკანასკნელის საშუალებით მიმდინარე ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტებით მუშაობას არ მიეცემა სისტემური ხასიათი, ვნებათაღელვა არ ჩაცხრება. ბატონ ლევან გორდეზიანს, ქ-ნ მარინე ჩიტაშვილს, მით უმეტეს, ქ-ნ რუსუდან ლორთქიფანიძეს, ისევე, როგორც რეფორმის გუნდის სხვა წარმომადგენლებს, არ ევალებათ ფაკულტეტ-ფაკულტეტ სიარული და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება. ამ საქმეს სპეციალური სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს. ცხადია, რომ უნივერსიტეტის მართვის ცენტრალურ სტრუქტურებში დასაქმებული პირების ხელმძღვანელობით შემუშავდება საუნივერსიტეტო პოლიტიკა, მიიღება გადაწყვეტილებები, მაგრამ ამ პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთება და პერმანენტულად უნივერსიტეტის თანამშრომელთა ფართო მასებამდე მისი დაყვანა დამოუკიდებელი სტრუქტურის პრეროგატივა უნდა იყოს. ამ სტრუქტურის მუშაობის ძირითადი მიმართულებები იქნება ტრენინგების ორგანიზება პროფესორ-მასწავლებელთათვის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, პედაგოგიური ტექნოლოგიების, უნივერსიტეტის თვითმართვის სტრუქტურების მშენებლობისა და სხვა საკითხებზე. უნივერსიტეტის მართვის აღნიშნული ქვესისტემა რეფორმის საწყის ეტაპზევე რომ ამუშავებულიყო, რეფორმის ირგვლივ ხმაური საგრძნობლად შერბილდებოდა და გაურკვევლობისა და შიშის სინდრომიც მნიშვნელოვნად მოიხსნებოდა. მაგრამ რადგან ეს ასე არ მოხდა, გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით ახლა მაინც უნდა გადაიდგას.

კრიზისის გამომწვევი შემდეგი მიზეზი, რომელიც ასევე, შიდა ფაქტორების რიგს განეკუთვნება, რეფორმის გუნდის მიერ ფაკულტეტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, "ახალი სტილის" საკვალიფიკაციო მოდელების არათანმიმდევრული მიწოდებაა. პრესისა და ტელევიზიის საშუალებით საშუალება გვქონდა გავცნობოდით პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო გამოსვლებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის სფეროში არსებული სრული დაბნეულობისა და გაურკვევლობის შესახებ. ტელევიზიითვე მოვისმინეთ საზოგადოებისთვის ცნობილი პროფესორის აღშფოთებული გამოსვლა იმის გამო, რომ "შვებულებაში წასვლის წინ, პირველად უნივერსიტეტის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მან და მისმა კოლეგებმა ჯერ კიდევ არ იციან მომავალი სასწავლო წლის დატვირთვა". ცხადია, ეს რეფორმის გუნდის მიმართ წაყენებული სერიოზული "ბრალდებაა". ეს გაურკვევლობა თუ დაბნეულობა გამოწვეულია იმით, რომ რეფორმის გუნდმა ფაკულტეტებს არ, ან ვერ შესთავაზა "ახალი სტილის" ბაკალავრის საკვალიფიკაციო მოდელი. მხოლოდ ნაბიჯი ტრანსფერული სისტემის გამოყენებისა და პირველკურსელ სტუდენტთათვის გზამკვლევის შექმნის შესახებ, ცხადია, ვერ დაარეგულირებს სიტუაციას. განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეტად საჭირო აღნიშნული საკვალიფიკაციო მოდელი, ერთის მხრივ, ნათელს მოჰფენდა სასწავლო პროცესთან, კრედიტებთან, სწავლა/სწავლების მიზნებთან, მოსალოდნელ შედეგებთან, მასწავლებელთა დატვირთვებთან და სტუდენტთა შეფასების სახეებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს. ასევე, ხელს შეუწყობდა უნივერსიტეტის ბოლონიის პროცესთან წარმატებული მიახლოების ეროვნული მნიშვნელობის საკითხს. ცხადია, რეფორმის გუნდი გულხელდაკრეფილი არ იჯდა. სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად მან უნივერსიტეტს შესთავაზა მაგისტრის საკვალიფიკაციო მოდელი, მაგრამ რამდენად მართებულია საძირკვლის, ე. ი. ბაკალავრის პროგრამის გარეშე, მაგისტრის პროგრამის აშენება. ამ შემთხვევაში დარღვეულია საგანმანათლებლო პროგრამების იერარქიული განლაგების მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუ არ ვიცი ბაკალავრის პროგრამის მიხედვით რა მოცულობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლება არის განსაზღვრული, როგორ შეიძლება განისაზღვროს მაგისტრის პროგრამის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ძირითადი პარამეტრები?

ინსტიტუციური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის რომ, ჩვენი აკადემიური საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მზად ცვლილებებისთვის. 80-იან წლებში აშშ-ში უმაღლესი სკოლის რეფორმა ყოველგვარი ხმაურისა და საპროტესტო აქციების გარეშე მიმდინარეობდა. იგივე უნდა ითქვას ევროპის რიგ ქვეყნებში ჩატარებული რეფორმების შესახებ. ამ ქვეყნებში ცვლილებები აღიქმება, როგორც განვითარების მუდმივი თანმდევი პროცესი და არასოდეს იქცევა ზოგადად ვნებათაღელვის საგნად. ჩვენშიც დადგება ისეთი დრო, როდესაც პროფესორ-მასწავლებლები უფრო ღრმად გაიაზრებენ მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობას. პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმას, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დღევანდელი ფორმა მოძველებულია და ვერ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ისიც, რომ კვლევის არსებული მეთოდოლოგია და ორგანიზაცია უნივერსიტეტს არ მისცემს საშუალებას, განახორციელოს ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია - კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. მეცნიერული კვლევის არსებული პრაქტიკით ვერ შეიქმნება პროდუქტი, რომელიც მოემსახურება სასწავლო პრაქტიკას, ან შეავსებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს.

ცხადია, რომ არა კრიზისის გამომწვევი გარე ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენა, საუნივერსიტეტო კრიზისი ასეთ მწვავე ხასიათს არ მიიღებდა. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად უმაღლესი განათლების კანონში არსებული ხარვეზებია. უმაღლესი განათლების დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკის საკითხი ხელახალ გააზრებას მოითხოვს. ამასთან, დაუშვებელია თსუ-სთვის დაფინანსების პროტექციონისტული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. დაფინანსების ძირითადი კრიტერიუმი ყველა აკრედიტებული უმაღლესი სკოლისთვის ერთნაირი უნდა იყოს. მთავარი კრიტერიუმები სტუდენტთა კონტინგენტი და უმაღლესი სკოლის მიერ "წარმოებული პროდუქტის" - კურსადმთავრებულის ხარისხია, რაც შეფასების თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აკრედიტაციის ეროვნული სისტემის საშუალებით გაიზომება.

და ბოლოს, კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი არსებითი გარე ფაქტორია უმაღლესი განათლების რეფორმის არასათანადო დაფინანსებაც. იმ შემთხვევაში, თუ არ ვდავობთ, რომ "უნივერსიტეტები ერის გონებაა", სახელმწიფოს დამოკიდებულებაც პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის მიმართ ამის ადეკვატური უნდა იყოს.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/203
მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

ქ. ქუთაისში ავტომშენებლის და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით.

ა) ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 54476 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარისა და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 300 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS/203/01);

ბ) ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძისა ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 3332 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 270 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი "KTS/03/02).

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების შესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი).

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39. თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 183 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757
ლარის ანგარიში №3834080001
დოლარის ანგარიში №334180001
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოას მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 3021, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 15 სექტემბრის 13.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 47000 (ორმოცდაშვიდიათას) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS/203/01-სთვის, და 26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KT203/02-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 15 სექტემბერს 13.00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

# პოლონეთი-რუსეთი - დაძაბულობა იზრდება

პირველი გვერდიდან

ერთი კვირის განმავლობაში მოსკოვში პოლონეთის მოქალაქეზე მესამე თავდასხმა განხორციელდა. ორი დღის წინ კუტუზოვის გამზირზე, სასტუმრო "უკრაინასთან" მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში უცნობებმა ერთ-ერთი უდიდესი პოლონური გაზეთის "რეჩპოსპოლიტას" კორესპონდენტს პაველ რეშკას სცემეს.

როგორც თავად ჟურნალისტმა პოლონეთის ტელევიზიის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ხუთშაბათს საღამოს, დაახლოებით, ხუთი ადამიანი მას თავს დაესხა, როცა გაზეთის კორპუნქტიდან სიგარეტის საყიდლად გამოვიდა. ამასთან, თავდამსხმელებს მისთვის არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ურტყამდნენ. რეშკა ამბობს, რომ მისთვის არც არაფერი წაურთმევიათ.

პოლონელ ჟურნალისტზე თავდასხმის ფაქტზე, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, მოსკოვის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თუმცა, თავად პროკურატურის თანამშრომლებს თუ დავუჯერებთ, ამ სამი საქმის გაერთიანების მოტივაცია არ არსებობს. რუსი სამართალდამცველების განცხადებით, ამ შემთხვევებს შორის პირდაპირი კავშირი ვერ დგინდება, თუნდაც იმიტომ, რომ დიპლომატები საელჩოს მახლობლად გალახეს, რასაც, ალბათ დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა; პოლონელ ჟურნალისტთან დაკავშირებული ინციდენტი კი, შესაძლოა, მხოლოდ ჩვეულებრივი ხულიგნობის ფაქტი იყოს.

უკანასკნელ დღეებში მოსკოვში პოლონეთის მისია "საალყო" მდგომარეობაში ფუნქციონირებს - საელჩოს თანამშრომლები ცდილობენ, საერთოდ არ დატოვონ დიპლომატიური მისიის ტერიტორია, ხოლო თუ მაინც მოუხდათ შენობიდან გასვლა, ქალაქში ჯგუფებად მოძრაობენ.

შეგახსენებთ, ხუთშაბათის შემთხვევამდე მოსკოვში პოლონეთის კონსულის მრჩეველს ანჯეი ურიადკოსა და პოლონეთის საელჩოს მეორე მდივანს მარეკ რეშუტას სცემეს, შესაბამისად, პირველს – 7 აგვისტოს, ხოლო მეორეს – სამი დღის შემდეგ.

დიპლომატიური მისიის თანამშრომლებზე თავდასხმასთან დაკავშირებით პოლონეთის საელჩომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ორი საპროტესტო ნოტა გადასცა. მომხდარზე კომენტარი გააკეთა პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმაც.

**"რუსეთის ფედერაციაში აკრედიტებული პოლონეთის სახელმწიფოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები ორგანიზებული თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. ამასთან დაკავშირებით პოლონური საზოგადოების მზარდ აღშფოთებას ვიზიარებ,"** - ნათქვამია პოლონეთის პრეზიდენტის განცხადებაში.

**"უკანასკნელი დღეების საშიში ინციდენტები პოლონეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის გარემოს ქმნის და სიძულვილის სახიფათო ესკალაციას იწვევს,"** - ამბობს კვასნევსკი.

აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე ვარშავაში რუსი დიპლომატების შვილებზე თავდასხმა განხორციელდა. სამ რუს ბიჭსა და მათ ყაზახ მეგობარს ქალაქის ცენტრში მდებარე პარკში მობილური ტელეფონები წაართვეს და გალახეს.

რუსეთის პრეზიდენტი უმალვე გამოეხმაურა ბავშვების ცემის ფაქტს. პუტინმა კატეგორიულად მოსთხოვა პოლონეთის ხელისუფლებას ადეკვატური ზომების მიღება.

გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს პოლონეთის ელჩი და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. თუმცა, ოფიციალურმა ვარშავამ განაცხადა, რომ პოლონეთის ხელისუფლებას საბოდიშო არაფერი აქვს.

ბუნებრივია, ცივი ომის პერიოდის არცთუ სასიამოვნო მოგონებები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს დაღს ასვამს. მოსკოვსა და ვარშავას შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს. მართალია, გარეგნულად ორივე ქვეყანა მოლაპარაკებათა ერთ მაგიდასთან იჯდა და "ერთად ცდილობდა" შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მონახვას, მაგრამ ერთი შეხედვითაც თვალშისაცემი იყო, რომ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მყოფებს სრულიად საპირისპირო სურვილები ამოძრავებდათ.

როგორც ჩანს, რუსეთში დღემდე ვერ მოუნელებიათ შარშან ზამთარში უკრაინაში განცდილი მარცხი. ისიც ფაქტია, რომ კრემლში მომზადებული პროექტის "მემკვიდრეს" ჩავარდნაში ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ რუსები პოლონეთს თვლიან.

კარნეგის ფონდის პოლიტოლოგის ლილია შევცოვას თქმით, "რუსეთსა და პოლონეთს შორის ურთიერთობათა გაცივება საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენებშიც ძალუმად იგრძნობა". ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ უკრაინის მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო "მტრულად" განწყობილნი გახდნენ ერთმანეთის მიმართ ორი ქვეყნის მედიასაშუალებები.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ გამწვავებას, აშკარაა, რომ იგი გამოიწვია რეგიონში რუსეთის ერთადერთ მოკავშირეზე, ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოზე პოლონეთის ღია შეტევამ.

თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობების გართულებაში თავისი წვლილი მიუძღვის 21-ე საუკუნის დაძაბულობის უმთავრეს წარმომშობს - ენერგომატარებლებსაც.

საქმე ისაა, რომ პოლონეთი, ისევე, როგორც უკრაინა, დასავლეთ ევროპაში რუსული გაზის ტრანზიტს უზრუნველყოფს. ასე რომ, რუსული გაზით სარგებლობისას (საკმაოდ მაღალ ფასად) ვარშავას გარკვეული შეღავათს აძლევდა ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი. ამასწინათ კი მოსკოვსა და ბერლინს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ახალი მილსადენის მშენებლობის შესახებ, რომელიც ორ ქვეყანას პირდაპირ - ბალტიის ზღვის გავლით დააკავშირებს. ბუნებრივია, პოლონეთი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება...

# "ჰითროუ" - გაუქმებული რეისები და იმედგაცრუებული მგზავრები

## მასშტაბური გაფიცვა "ბრიტიშ ეარვეიზ"-ის სახმელეთო სამსახურში

ხათუნა გაბიევი

12 აგვისტოს ავიაკომპანია "ბრიტიშ ეარვეიზ"-ს, თითქმის, მთელი დღის განმავლობაში მოუხდა ყველა რეისის გაუქმება. "ჰითროუ"-ს საერთაშორისო აეროპორტში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის მიზეზი კი "ბრიტიშ ეარვეიზ"-ის სახმელეთო სამსახურის თანამშრომლების გაფიცვა გახდა. ავიაკომპანიის მტვირთავები, მძღოლები და ტექნიკური პერსონალის სხვა წარმომადგენლები, რომელთა საერთო რაოდენობა, დაახლოებით, 1000 კაცს აღწევდა, კომპანია "გეიტ გურმე"-ს 600 თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნამ გამოიყვანა პროტესტით. "გეიტ გურმე"-ს გათავისუფლებული თანამშრომლები, რომლებიც კომპანიის რესტრუქტურიზაციის გეგმას აპროტესტებდნენ, ის ხალხია, რომლებიც მგზავრებს მზა საკვებით უზრუნველყოფდნენ.

მოლაპარაკება, რომელსაც ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებდა, პროკავშირთან პარასკევს საღამოს წარმატებით დასრულდა. "ბრითიშ ეარვეიზ"-ის წარმომადგენლების თქმით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გაფიცულ თანამშრომელთა ორი მესამედის დაყოლიება მოახერხეს და ისინიც დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს. თუმცა, საკმაოდ წარმატებული მოლაპარაკებების შემდეგ დიდხანს გაურკვეველი რჩებოდა,




*დაუგეგმავი გაფიცვით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა "ჰითროუ"-ში.*

როდის შეძლებდა ლონდონის აეროპორტი, თუნდაც, არასტანდარტულ რეჟიმში მუშაობის აღდგენას. ჩვეულებისამებრ, ზაფხულობით "ჰითროუ"-ს აეროპორტი დღის განმავლობაში 550 თვითმფრინავს ემსახურება. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ასეთი სახის კონფლიქტით მიყენებული ერთდღიანი ზარალი, დაახლოებით, 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს აღწევს.

დაზარალებულები აღმოჩნდნენ იმ ხუთი ავიაკომპანიის (Sri Lankan Airlines, Finnair, GB Airways, British Mediterranean Airlines და Qantas) მგზავრებიც, რომლებსაც "ჰითროუ"-ს აეროპორტი ემსახურება.

ყველაფერი კი "ჰითროუ"-ს ერთ-ერთ ტერმინალში ხუთშაბათს, დაახლოებით, 1000 მგზავრის დარჩენით დაიწყო. პარასკევს დილით ტერმინალებში დარჩენილი მგზავრების რაოდენობამ 20000-ს მიაღწია, ხოლო საღამოს გაუქმებული თუ გადადებული რეისების მგზავრების რიცხვი უკვე 70000 კაცით განისაზღვრებოდა.

არასანქცირებული გაფიცვით შეშფოთებულმა კომპანიის ადმინისტრაციამ მოლაპარაკება სცადა ტექნიკურ პერსონალთან, რომლის წარმომადგენლებიც უარს აცხადებდნენ, დაბრუნებოდნენ სამუშაოს, მაგრამ - უშედეგოდ. "ბრითიშ ეარვეიზ"-ის ხელმძღვანელმა როდ ედინგტონმა მოუწოდა პროფკავშირებს, "პირველ რიგში, გაეთვალისწინებინათ კლიენტების ინტერესები და უზრუნველეყოთ კავშირის წევრების სამუშაო ადგილზე დაბრუნება". მართალია, სატრანსპორტო და არაკვალიფიცირებული მუშახელის პროფესიული კავშირი აღიარებდა, რომ გაფიცვა კანონსაწინააღმდეგო იყო, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა და ვერ გადაარწმუნა თავისი წევრები. თავდაპირველად შეუვალი აღმოჩნდა "გეიტ გურმე"-ს მესვეურთა პოზიციაც - მათ უარი განაცხადეს, დაებრუნებინათ სამუშაო ადგილებზე უკვე გათავისუფლებული ყოფილი თანამშრომლები და ეს კომპანიაში შექმნილი ფინანსური კრიზისით ახსნეს. თუმცა, მოგვიანებით, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოლაპარაკების დაწყებაზე მაინც განაცხადეს თანხმობა. ჯერჯერობით უცნობია, როგორ გადაწყდება გათავისუფლებულ თანამშრომელთა ბედი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ სვირის საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის სოფელ სვირის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სოფელ სვირის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელ სვირის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:ლევან ღონღაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 აგვისტოდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელ სვირის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:ლევან ღონღაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 15 სექტემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანის საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სოფელ ლეღვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელ ლეღვანის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:ჯამბულ გამცემლიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 17 აგვისტოდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელ ლეღვანის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:ჯამბულ გამცემლიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 14 სექტემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# აზერბაიჯანი თავდაცვის ხარჯებს ზრდის

საქართველოში განლაგებული რუსული ბაზების სამხედრო ტექნიკის ნაწილის სომხეთში გადასროლამ აზერბაიჯანი აიძულა, მკვეთრად გაზარდოს თავდაცვის ხარჯები. როგორც "ნეზავისიმაია გაზეტა" წერს, ოფიციალური მონაცემებით, აზერბაიჯანის ბიუჯეტის სამხედრო ხარჯები 50 მილიონი აშშ დოლარითაა გაზრდილი და, საერთო ჯამში, 300 მილიონს შეადგენს. როგორც გამოცემას აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს წყარომ აცნობა, "რუსული სამხედრო ტექნიკის დისლოკაციისთვის სომხეთის აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტავუშის, ბერდისა და იჯევანის ოლქებში ნაკვეთებია გამოყოფილი".

აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ცნობებით, ამჟამად გიუმრიში განლაგებულ 102-ე რუსულ სამხედრო ბაზას საქართველოდან გასატანი სამხედრო ტექნიკის მთლიანად მიღება არ შეუძლია. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, სომხეთის ხელისუფლებამ რუს სამხედროებს აზერბაიჯანის საზღვართან იჯარით ახალი ტერიტორია გამოუყო. ეს ყველაფერი ბაქოს აიძულებს, არამარტო გაზარდოს თავდაცვის ხარჯები, არამედ სამხედრო თანამშრომლობა განამტკიცოს სხვა ქვეყნებთან, კერძოდ - აშშ-სთან და თურქეთთან.

აზერბაიჯანის პრესა ამტკიცებს, რომ სომხეთში რუსული სამხედრო ტექნიკის დისლოკაციის თემა ახლახან ვაშინგტონში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ელმარ მამედიაროვისა და პენტაგონის ხელმძღვანელთა შეხვედრისას განიხილებოდა. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ ოკეანის გაღმა საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურის ვიზიტის დროს სხვა საკითხებს შორის სამხრეთ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც განიხილებოდა. აზერბაიჯანელი და ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ტექნიკური და ფინანსური დახმარებით არ შემოიფარგლება. აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოების ტექნოლოგიებისა და პოლიტიკის ცენტრის წარმომადგენელი მაიკლ ბარანიკი დარწმუნებულია, რომ "აზერბაიჯანი აშშ-სთვის ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყანა ხდება". მისი აზრით, თუ აშშ-მ უზბეკეთი უნდა დატოვოს, ამ ქვეყნიდან გატანილი ბაზები, შესაძლოა, აზერბაიჯანში განთავსდეს.

აგვისტოში ბაქოს პენტაგონის ხელმძღვანელი დონალდ რამსფელდი უნდა ეწვიოს. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ამ ვიზიტის დროს ოფიციალური ბაქო, შესაძლოა, თავის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების განლაგებას დათანხმდეს.

*ინტერპრესნიუსი*

# სტიქია არც ჩინეთს ინდობს

კოკისპირული წვიმით გამოწვეულმა მეწყერმა ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ჰაილოს ველზე მყოფი, დაახლოებით, 1200 ტურისტი გარე სამყაროს მოწყვიტა.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერ"-ის თანახმად, გადაუღებელმა წვიმამ გზები, ხიდები, ელექტროსადგური დააზიანა, ძლიერ შეაფერხა ტრანსპორტის მოძრაობა და ელექტროენერგიის მიწოდება.

ჩინეთის ხელისუფლებამ უბედურების რაიონში მაშველთა ჯგუფები გაგზავნა. ისინი ტურისტებს სტიქიის ტყვეობიდან იხსნიან; ასევე, დავალებული აქვთ, მოძებნონ უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანები.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, სიჩუანის რეგიონში ტრანსპორტის მოძრაობა, პრაქტიკულად, პარალიზებულია.

იმ დროს, როცა ქვეყნის აღმოსავლეთში კოკისპირული წვიმა გრძელდება, სხვა რეგიონებში გვალვაა.

ჩინეთის ოფიციალური სააგენტოს "სინჰუა"-ს ცნობით, 7,5 მილიონზე მეტი ადამიანი და, დაახლოებით, 6 მილიონი ცხოველი წყლის ნაკლებობას განიცდის. გვალვამ 5 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე დააზიანა ნათესები; 40 პროცენტი შეიძლება მთლიანად განადგურდეს.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - გრანტი**
**შესყიდვის ობიექტი - ავტომობილი**

ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის, ავტოსატრანსპორტო საშუალება - 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ძარა - უნივერსალი, კარებების რაოდენობა -5, ძრავის მოცულობა -არანაკლებ 3200 სმ3, სიმძლავრე - არანაკლები 240 ცხენის ძალა, ავტომატური სიჩქარეთა კოლოფი, ელექტრონული სატაბილიზაციისა და მოცურების საწინააღმდეგო სისტემა, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, უსაფრთხოების ბალიში, გატაცების საწინააღმდეგო სისტემა, ელექტროპაკეტი, კონდიციონერი, გამოშვების წელი - 2005.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **29 აგვისტოდან** 2005 წლის **2 სექტემბრის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**
**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის **5 სექტემბერს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 6 სექტემბრიდან 2005 წლის 7 სექტემბრის 17 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2005 წლის ოქტომბრამდე.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07.

*სატენდერო კომისია*

### მოკლედ

## ჯო კალზაგე, გესმის ჩვენი?

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მეორე საშუალო წონის ჩემპიონი ჯო კალზაგე, რომელიც თვალყურს ადევნებდა IBF-ის ტიტულის მფლობელ ჯეფ ლეისის მიერ რობინ რიდის მიზეგვას, აღიარებს, ლეისის ძალების დემონსტრირებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. თუმცაღა კვლავინდებურად მიაჩნია, რომ ლეისისთან ტიტულების გამაერთიანებელ ორთაბრძოლაში, რომელიც სავარაუდოდ 12 ნოემბრისთვისაა დანიშნული, ორგანიზაციის ჩემპიონს ყოველგვარი გართულებების გარეშე მოუგრიხავს კისერს: "ეს იყო ლეისის საუკეთესო ჩხუბი და მან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა რთულია იმის თქმა, სინამდვილეში რა ძალას წარმოადგენს, რადგან რიდი ძალზე ცუდად გამოიყურებოდა. რობინ რიდის საუკეთესო წლები უკანაა და მიხარია კიდეც რომ ვერ გაიმარჯვა, რადგან ჩემთვის მასთან მეორე შეხვედრა ძველის გამეორება იქნებოდა. ისეთ მეტოქეებს ვანიჭებ უპირატესობას, რომლებიც წინ მიდიან, ძლიერად ურტყამენ. ამ მხრივ ლეისი ზუსტად რომ საჩემო მეტოქეა". საგულისხმოა, რომ რობინ რიდზე გამარჯვებისთანავე ჯეფ ლეისიმაც გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს კალზაგეს. "რა თქმა უნდა, კალზაგეს შევხვდები. მე ჯერ არ შემისრულებისა საკუთარი მისია", - აცხადებდა ლეისი. ლეისისგან განსხვავებით ბევრად ენაწყლიანი იყო მისი პრომოუტერი გერი შოუ: "ჯო კალზაგე, გესმის ჩვენი? შენთან მოვდივართ უელსში. მოემზადე ნოემბრის ბრძოლისთვის".

## "რეალის" ხელი "ინტერში"

მადრიდის "რეალის" ყოფილი პრეზიდენტი, ლორენცო სანსი იტალიის "პარმას" შეძენას აპირებს. "როიტერის" სააგენტო იტყობინება, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სანსის წინადადებაზე დათანხმება გადაწყვიტა. შეტყობინების მიხედვით, ლორენცო სანსი 20 სექტემბრამდე "პარმას" აქციების სრული პაკეტის შეძენას აპირებს.

## სქოულზი "მანიუში" დარჩენას აპირებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, პოლ სქოულზე უახლოეს მომავალში კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ახალი კონტრაქტის მიხედვით, ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედში" 2008 წლამდე დარჩება. სქოულზმა ახალი კონტრაქტის გაფორმება იმის მიუხედავად გადაწყვიტა, რომ მისი მოქმედი ხელშეკრულება ძალაში კიდევ ორი წლის განმავლობაში იქნებოდა. "მან მანჩესტერ იუნაიტედს საკუთარი ცხოვრების 16 წელიწადი დაუთმო და ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო 4 წელიწადს იგი ისევე ნაყოფიერად ჩაატარებს, როგორც გასულ ოთხს", - განაცხადა გუშინ მანჩესტერელთა თავკაცმა, სერ ალექს ფერგიუსონმა.

## "ნიუკასლს" ოუენთან კონტრაქტის შანსი აქვს

ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი, გრემ სუნესი თვლის, რომ მის გუნდს მაიკლ ოუენთან კონტრაქტის გაფორმების კარგი შანსი აქვს. "დარწმუნებული ვარ, რომ ოუენთან კონტრაქტის გაფორმება სავსებით რეალურია. ოუენი ამ სეზონის მთავარი სატრანსფერო მიზანია "ნიუკასლისთვის" და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ხელშეკრულება გაფორმდეს", - აღნიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სუნესმა.

## ფიზიკელა და უებერი საჭეებს ცვლიან

გავრცელებული ხმების თანახმად, ფორმულა 1-ის მომავალ სეზონში "რენოსა" და "უილიამსს" შორის როქის გათამაშებაა მოსალოდნელი, რომლის მიხედვითაც "რენოს" საჯინიბოს იტალიელი მრბოლი ჯანკარლო ფიზიკელა და "უილიამსის" ავსტრალიელი მესაჭე მარკ უებერი გუნდებს გაცვლიან. თუ მოარულ ხმებს ვენდობით, ფრანგული საჯინიბოს - "რენოს" შეფი ფლავიო ბრიატორე მზადაა გუნდის პირველი ნომრის ესპანელი ფერნანდო ალონსოსთვის პარტნიორად მარკ უებერი მიიწვიოს. ფიზიკელა კი თავის მხრივ უილიამსელებთან გადაბარგდებაო.

# ტაისონს უარი აშმაგებს

ბიბა ბურასაშვილი

*მაიკ ტაისონი სარინგო სამყაროს მიღმა უყურადღებობას რომ არ უჩივის საკუთარივე გაუწონასწორებელი ხასიათის გამო, არახალია. ახლაც კი, როდესაც გაკოტრებულად ითვლება, მაინც ანდამატივით იზიდავს მისივე ხარჯზე გამდიდრების მოსურნეებს. მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს კვლავაც ქალის ცემაში ადანაშაულებენ. სუსტი სქესის წარმომადგენელთან "რკინის მაიკისეულ" მოპყრობას ადგილი ჰქონდა იტალიაში, კერძოდ კუნძულ სარდინიის ფეშენებელურ კურორტ პორტო-ჩერვოზე. იქ, სადაც ტაისონი ისვენებდა.*

ზუსტად იმის თქმა, სცემა თუ არა ტაისონმა 33 წლის ფლორანს ბოტოლი, რომელიც კამერუნიდანაა, ნიცაში გამყიდველად მუშაობს და პორტო-ჩერვოზე ტაისონის დარად ისვენებდა, ძნელი სათქმელია, რადგან "რკინის მაიკს" არაერთი გამდიდრების მოსურნეც ახსოვს. და მაინც ის ვთქვათ, რაზეც იტალიური გამოცემა "Unione Sarda" მოგვითხრობს.



*ბოტოლას უარმა ტაისონი გაახელა და კარაბინერებთან მიიყვანა.*

6 აგვისტოს საღამოს, როდესაც მაიკმა წვეულება მოათავა, ფლორენს ბოტოლი საკუთარ იახტაზე მიიწვია და მერე, როგორც ამბობენ, ხელების ფათური დაუწყო, გასაქანი არ მისცაო და ა.შ. ხოლო მას შემდეგ, რაც მომხდურს ცივი უარი სტკიცეს, ტაისონმა პროფესია გაიხსენა – მუშტები აამოქმედა. ისეთი ამბავი ატყდა... რომ არა მცველები, გახელებულ მაიკს რა დააოკებდაო.

ერთი სიტყვით, მცველებმა ტაისონს ბოტოლი ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს და იახტიდან სასწრაფოდ გასაბერ ნავში გადასვეს – არიქა, თავს უშველეო.

სამშვიდობოზე გასულმა ფლორენს ბოტოლიმ უმალ ტრავმატოლოგიურს მიაკითხა, იქიდან კი, რა თქმა უნდა, კარაბინერებს მიაკითხა - ასეო და ისეო. აღიძრა საქმე. რა და როგორ იქნება, ეს უკვე გამოძიების ამბავია.

მანამდე კი... მანამდე მაიკ ტაისონის სახელთან დაკავშირებული ყველაზე ხმაურიანი ისტორია გავიხსენოთ. ისტორია, რომელმაც "რკინის მაიკის" კარიერა, ფაქტობრივად, გაანადგურა.

საუბარია, 1996 წელს მაიკის მიერ გაუპატიურებულ "მის შავ ამერიკაზე" დეზრი ვაშინგტონზე. შეგახსენებთ, რომ ამგვარი საქციელისთვის მაიკს, რომელიც იმ ხანად საკუთარი კარიერის ზენიტში იმყოფებოდა, სამი წელიწადი ციხეში ყოფნა მოუწია.

მას შემდეგ სასჯელმოხდილი მაიკი წელში ველარც გაიმართა. ვერა და ვერ მიაღწია მნიშვნელოვან სარინგო წარმატებებს. ყველა მცდელობა დაბრუნებოდა რინგს, წარუმატებელი გამოდგა. ტაისონისგან დიდი მოკრივის სახელიღა დარჩა. ყველა უბედურებასთან ერთად გაანიავა ასეულობით მილიონი დოლარი - ისიც ერთი სასამართლოს კარიდან მეორეში სირბილით.

ოდესღაც დიდი ჩემპიონი, ახლა კი ჯიბე გაფხეკილი ტაისონი იძულებულია რიგ შოუებში მიიღოს მონაწილეობა. გარდა ამისა, მისთვის არც დეპრესიული შემოტევებია უცხო. არაერთხელ უთქვამს კიდეც, რომ ძალზე დაიღალა და რომ ცხოვრების გემო დაკარგა. შარშან ზაფხულში ისიც აღიარა, რომ თავი მოძულებია და რომ სიკვდილი სურს, რადგან საკუთარი სული დავლუპეო.

# კლიჩკოს კლიჩკო ექომაგება

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი, ვიტალი კლიჩკო მომდევნო ბრძოლისთვის სამზადისშია. ამჯერად კლიჩკოს მეტოქე იქნება ჰასიმ რაჰმანსა და მონტე ბარეტს შორის ხვალ გამთენიისას გასამართ ორთაბრძოლაში გამარჯვებული.

ვლადიმერ კლიჩკო, რომელიც რაჰმანის მიერ მისი ძმის მიმართ წაყენებულ ლაჩრობის ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს, საკუთარი აგრესიის ბარეტის წინააღმდეგ მიმართვას ურჩევს: "ჩემი ძმა თვლის, რომ რაჰმანი არასერიოზულად ეკიდება ბარეტთან მომავალ ორთაბრძოლას. ეს მოკრივე მე დამარცხებული მყავს, მაგრამ მას შემდეგ ბარეტი საგრძნობლად გაძლიერდა. რაჰმანი ძალიან ბევრს ფიქრობს და საუბრობს ვიტალიზე. ჩემი ძმისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მათ შორის (რაჰმანი-ბარეტი) რომელი გაიმარჯვებს. ასე რომ, დროა, ლაყაფს მოეშვას და საკუთარი პრეტენზიების საფუძვლიანობა ბარეტთან გამარჯვებით დაამტკიცოს", - განაცხადა ვლადიმერ კლიჩკომ.


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელია აღდგენა-გამაგრებითი და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: მარტყოფის ქ. №21; ავლაბრის გასასვლელი №3; მოსკოვის გამზირი II კვ. კ. №2; III მასივი VII კვ. კ. №16; III მასივი I კვ. კ. №"ბ" და მარტყოფის ქ. "23.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 30 აგვისტოს 11 საათიდან 31 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სხვა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:

ა) ლიცენზიას სამშენებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 1 სექტემბრის 14 საათიდან 2005 წლის 2 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად ცალკეული საცხოვრებელი სახლების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დავით სინჯიაშვილი, საბინაო-კომუნალური განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი: 705473, 788814010 და მ. პაპიაშვილი, საბინაო-კომუნალური განყოფილების წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი: 705473, 899341297, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ცვლილებების შესახებ

2005 წლის 2 აგვისტოს გაზეთში "24 საათი" N174 აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ განცხადებებში: 1) ღია ტენდერი ბათუმი-ხულო-ახალციხის საავტომობილო გზის კმ.52+500-კმ. 61+60 მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე.

2) ღია ტენდერის "გოროდოკი-ახალშენი" (ახალშენის ცენტრამდე) მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე.

3) ღია ტენდერის ბაგრატიონის ქუჩის (შავშეთის ქუჩიდან ოძელაშვილის ქუჩამდე) მონაკვეთებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე და 2005 წლის 4 აგვისტოს N176 გაზეთში "24 საათი" აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ განცხადებაში: "სახელმწიფო გზა-დიდაჭარა-ღორჯომი" სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

კერძოდ ოთხივე ტენდერი გაერთიანდეს ერთი ტენდერის სახით და დაიყოს ლოტების მიხედვით. განცხადებათა პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს ოთხ ლოტად საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

ლოტი-N1: ბათუმი-ხულო-ახალციხის საავტომობილო გზის კმ.52+500-კმ. 61+60- კმ 84+200 მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე.

ლოტი -N2 " გოროდოკი-ახალშენი " { ახალშენის ცენტრამდე } მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე

ლოტი N3 ბაგრატიონის ქუჩების ( შავშეთის ქუჩიდან ოძელაშვილის ქუჩამდე} სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩათარებაზე

ლოტი N4 საავტომობილო გზის " სახემწიფო გზა-დიდაჭარა-ღორჯომი " მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე

განცხადების მესამე პუნქტი ჩამოყელიბდეს შემდეგნაირად:

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ

ქართულ ენაზე 2005 წლის 22 აგვისტოს 10 საათიდან 23 აგვისტოს 17 საათამდე ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის

საავტომობილო გზების დეპარტამენტში: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N6 წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მიტითებული უნდა იქნას პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

თითეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული ორგანიზაცია.

განცხადებათა 4. 1. 5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4. 1. 5. ცნობა სამუშაოების განხორციელების საჭირო მანქანა-დანადგარების შესახებ (დამოწმებული აუდიტის მიერ}

Gგანცხადებებს დაემატოს პუნქტი 4. 3. და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

4. 3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. მცხეთის გამგეობა (ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №136) ატარებს ღია ტენდერს სამ ლოტად.

I ლოტი - ქ. მცხეთაში დ. აღმაშენებლის და გამსახურდიას ქუჩებზე მესერების დამზადება, დაყენება.

II ლოტი - ქ. მცხეთის ცენტრისა და ფეხით მოსიარულეთა გზების საერთო სამშენებლო სამუშაოები.

III ლოტი - ქ. მცხეთის შიდა გზების საერთო-სამშენებლო ზედაპირული სამუშაოები (ასფალტირება).

სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 29 აგვისტოს 10 საათიდან 31 აგვისტოს 17 საათამდე ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №136. ქ. მცხეთის გამგეობა.

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანქციის საქმე;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

ბ) ლიენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი მითითებულ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 5 სექტემბრის 20 საათიდან 9 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №136. ქ. მცხეთის გამგეობა.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მ. მრევლიშვილი. ტ. № 8 27 32 35 30. მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №136. ქ. მცხეთის გამგეობა.

ტენდერში გამოცხადდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*
*შ. სამხაძე*

# თუ ვევროპელობთ, ევროპასვე მივბაძოთ

ქეთევან იგნატოვა

დიდი იმედი და რწმენა მაქვს იმისა, რომ ზაფხულის დასვენების შემდეგ დედაქალაქში დაბრუნებულ მოსახლეობას თბილისი კიდევ უფრო გალამაზებული, მოვლილი, კეთილმოწყობილი დახვდება. მაგრამ თბილისის ახალ მერს, რომლის ძალისხმევაში ეჭვი არ მეპარება, ერთი თხოვნა-მითითებით მინდა მივმართო. ქალაქის ცენტრალური ნაწილის პირველი სართული, ფაქტობრივად, მთლიანად მაღაზიებს, კაფეებს, საყოფაცხოვრებო ობიექტებს, სილამაზის სალონებს და ა.შ. უკავია, რაც, თავისთავად, სრულიად ბუნებრივი და მისასალმებელია. მაგრამ, აი, რამდენად გამართლებულია, რომ ნებისმიერ ამ ობიექტს არა ერთი ან ორი, არამედ ათობით სარეკლამო, კლიენტების მიმზიდველი წარწერა ამშვენებს? სახლების ფასადებზე, ვიტრინების მინებზე, გარეთ გამოტანილ მუყაოზე ან პირდაპირ ხეებზეც კი აქვთ გამოკრული, მიწებებული, ლურსმნებით მიჭედილი გასაყიდი საქონლის ან კლიენტებისთვის შეთავაზებული მომსახურების სრული ჩამონათვალი. ამის შედეგად მიღებული იშვიათი სიჭრელე, უბადრუკობა, პროვინციულობა და უკულტურობა დღევანდელი თბილისის იერსახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. რა მოხდება, თითოეულ ასეთ მაღაზიას, სალონს რეკლამირების ელემენტარული, ლოგიკური ლიმიტი დაუწესდეს. ევროპაზე პრეტენზია გვაქვს და ამავე დროს თბილისს თურქეთის პროვინციას ვამსგავსებთ. თუ ევროპა გვინდა, მაშინ ამაშიც ევროპას მივბაძოთ.




# ქართველი მომღერალი "პალანგა 2005"-ის ლაურეატი გახდა

პროდიუსერული და ივენთ კომპანიის 5 Lines Production-ის ორგანიზებით, ახალგაზრდა მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი 5-6 აგვისტოს, ლიტვაში, ქალაქ პალანგაში, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის "პალანგა 2005"-ის (იგი პირველი ქართველი მომღერალია, რომელიც ამ ფესტივალზე წარდგა) და ლაურეატი გახდა. გასამგზავრებელი ხარჯები პარლამენტარმა გოდერძი ბუკიამ და გლდანი-ნაძალადევის გამგეობამ გაიღო. მომღერლის ჩაცმულობაზე კი "ლამანმა" და დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა იზრუნეს. "პალანგა" 2005 წელს 5 Lines Production-ის მეოთხე საერთაშორისო საფესტივალო პროექტია, Sarandev Dobrich (ბულგარეთი), Миллион Чудес (ბულგარეთი) და Славянский Базар в Витебске 2005 (ბელორუსია)-ის შემდეგ.

პალანგას შემდეგ 5 Lines Production ინიციატივით ნოდიკო გაემგზავრა ლატვიაში, სადაც გუშინ იურმალას VI საერთაშორისო სატელევიზიო მუსიკალური ფესტივალი Янтарная Звезда 2005 დასრულდა.

Янтарная Звезда 2005 მთლიანად მიეძღვნა რაიმონდ პაულსს, კომპოზიტორის საიუბილეოდ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. საფესტივალო კონცერტები გაიმართა საკონცერტო დარბაზში "ძინტარი". ფესტივალზე ქართველმა მომღერალმა რაიმონდ პაულსის სიმღერა - Вернисаж შეასრულა.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური - მის: ხეთაგუროვის ქ. №2, აცხადებს ღია ტენდერს სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებებისათვის საჭირო მინის მიწოდებაზე.

მინის მიწოდება გახორციელდება ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 402 ობიექტზე, რაოდენობით - 18 000 კვ მ. სისქე 4 მმ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 22 სექტემბერი.

ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საქონლის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული განაცხადის საფუძველზე.

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მიმწოდებელმა თვითონ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში განაცხადში მითითებული საქონლის შეტანა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 აგვისტოდან 30 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის საენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან, მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლოის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს 2005 წლის 2 სექტემბრისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დავით გოაშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, საკონტაქტო ტელეფონი 95 00 04, და სატენდერო კომისიის აპარატის წევრი მურთაზ მიჭინავა, 95 90 14, მისამართზე: ქ. თბილოისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ღია სამლოტიან ტენდერს პროკურატურის ბალანსზე რიცხული შენობების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**2.** შესყიდვის ობიექტია :

ლოტი I - ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24-ში მდებარე გენერალური პროკურატურის შენობის მე-6 და მე-8 სართულების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

ლოტი II - ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N162-ში მდებარე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

ლოტი III -ახალქალაქის რ-ნი, ჩარენცის ქ. N30-ში მდებარე რაიონული პროკურატურის შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** სამუშაოების ჩატარების სასურველი ვადებია:

ლოტი I - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კალენდარული თვის განმავლობაში.

ლოტი II - ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი კალენდარული თვის განმავლობაში.

ლოტი III - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კალენდარული თვის განმავლობაში.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 აგვისტოდან 2005 წლის 31 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სახელმწიფო ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან);

ბ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების ლიცენზია (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით);

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამოწმებული აუდიტის მიერ);

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

**5.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**7.** საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 1-2 სექტემბერს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

**8.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 5 სექტემბრიდან 8 სექტემბრის 17 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს გენერალური პროკურტურის სადეპოზიტო ანგარიში N000141408). გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტი).

**9.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება შესაბამისი ლოტის ღირებულების მითითებით.

**10.** ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**11.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: რუსუდან კაპანაძე ტ. 877-49-48-97, 99-04-60. მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 209 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

**სატენდერო კომისია**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## პროგრამა "ირმის ნახტომი"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### კონკურსი სკოლებისთვის კომპიუტერული აღჭურვის მოსაპოვებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში, აცხადებს პირველ საგრანტო კონკურსს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლებისთვის კომპიუტერული აღჭურვის მოსაპოვებლად.

პროგრამა "ირმის ნახტომის" მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციას საქართველოს სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შექმნითა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებით.

მიმდინარე საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს გამარჯვებულ სკოლაზე 1-დან 5-მდე ახალი, თანამედროვე კომპიუტერის გადაცემას, მათ ინტერნეტში ჩართვას და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლებს საქართველოს ქალაქებიდან: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, თელავი, ოზურგეთი. კომპიუტერების მიღების შესაძლებლობა ექნება ამ ქალაქების ყოველ მეორე სკოლას.

2005-2006 სასწავლო წელს გამოცხადდება შემდეგი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული ქალაქების დანარჩენ სკოლებსაც მიეცემათ საშუალება მოიპოვონ კომპიუტერული ტექნიკა. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ინტერნეტ-კავშირის უზრუნველყოფასთან ერთად შემდგომი 4 სასწავლო წლის მანძილზე ყველა სკოლა მიიღებს ტექნიკას საპროექტო განაცხადების საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საპროექტო განაცხადები. საპროექტო განაცხადის ავტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ შეძლებენ ახალი, საინტერესო ამოცანების დასახვასა და მიზნების ხორცშესხმას, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენებას ამა თუ იმ პარტნიორული, კულტურული, საგანმანათლებლო, სათემო ხასიათის პროექტების განხორციელებისათვის, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას პროექტში, კომპიუტერების თვისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სკოლის თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლისათვის.

განაცხადის ფორმის მოპოვება შეგიძლიათ პროგრამა "ირმის ნახტომის" ვებ-გვერდზე: www.dlf.ge.

პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 15 სექტემბერი.

მისამართი: "ირმის ნახტომი", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დ. უზნაძის ქ. N52, თბილისი 0102, საქართველო, ოთახი 113. ტელ: (995 32) 95 62 94. ელ-ფოსტა: info@dlf.ge



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ცენტრალური აპარატის კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ქ. თბილისში დ. უზნაძის ქ. N52-ში მდებარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უკანა ფლიგელის და დ. უზნაძის ქ. N68-ში მდებარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობის I და III სართულების სარემონტო სამუშაოების და ამავე შენობის ეზოში დაზიანებული სადრენაჟო სისტემის კაპიტალური სამუშაოების განხორციელების მიზნით ჩატარებულ ღია ტენდერში (I ლოტი) გამარჯვებულად გამოცხადდა ს/ს "ხურო".

ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის პირველი რიგის სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოცხადებული ტენდერი (II ლოტი) გამოცხადდა არშემდგარად.

"საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეაბილიტაციო პროგრამის" დაფინანსების ფარგლებში გორის რაიონის სოფელ ვარიანის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კაპიტალური შეკეთების მიზნით ჩატარებულ ღია ტენდერში (III ლოტი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "რეკონსტრუქცია+".

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია**

რკინიგზის საავადმყოფოს

**სამედიცინო კოლეჯი**

აცხადებს მიღებას:

1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია;
სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.

აღსანიშნავია:

**სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში**
**10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.**

გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**

მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მოსახლეობის სტაციონალური დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით ა.წ. 11 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" (№182 (1042)) გამოქვეყნებული განცხადების მე-14 და მე-15 პუნქტები ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

"14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული."










შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------------------------

მისამართი ------------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------------------------

სკოლა ------------------------------------------------

კლასი ------------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

# დღესასწაულის ათი დღე



ანკა კალატოზიშვილი

ლია თოფურია

ერთ ჩემთვის ძალიან საყვარელ ოჯახში სიხარულით მითხრეს,- იცი, ჩვენმა ანკამ გერმანიაში ნამდვილი ფურორი მოახდინაო. ჰოდა, გერმანიიდან ახალჩამოსული ანკა კალატოზიშვილიც სწორედ იქ სტუმრობდა.

აი, რა მიამბო ანკამ: "გერმანიაში ორ წელიწადში ერთხელ, მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმი იმართება ხოლმე. ამჯერად, ბერლინთან ახლოს, პატარა ქალაქ ვიტინგენში, საოცარი სილამაზის, შუა საუკუნის სოფელ ლუბენში ტარდებოდა რიგით მეექვსე სიმპოზიუმი. მონაწილეობდნენ მხატვრები 12 ქვეყნიდან - ეგვიპტიდან, იაპონიიდან, ევროპიდან... სოფლის სიწყნარე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრის სტილის (გარედან) სასტუმრო, ყველა სხვა დეტალი - პერსონალის ტანსაცმელი, მუსიკალური საკრავები, საზეიმო რიტუალები - ყველაფერი ზუსტად ასახავდა ეპოქას და განსაკუთრებულ განწყობას ქმნიდა. მაგალითად, პირველი ვახშამი - ეს იყო კარტოფილის დღესასწაული, ანუ კარტოფილისგან დამზადებული უამრავი და უგემრიელესი კერძი. საქმე ის არის, რომ ეს რეგიონი საუკუნეების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო და იქ მხოლოდ კარტოფილი მოჰყავდათ. მართალია, შემდგომში "ფოლკსვაგენის" წარმოებამ ყველაზე მდიდარ რეგიონად აქცია, მაგრამ ტრადიციებს სათუთად ინახავენ და ულამაზეს რიტუალებსაც ძველებურად ატარებენ. "მაგალითად, ორი წლის წინ, როდესაც პირველად აღმოვჩნდი ასეთ სიმპოზიუმზე ლუბენში, მთელმა სოფელმა პურის დღესასწაული მოაწყო - პურს იღებდნენ შუა საუკუნეების იარაღით და მეთოდებით, მოჰქონდათ სახლში გამომცხვარი პური და შინაური ლუდი, და ეს ყველაფერი იმ ეპოქის ტანსაცმლის და სიმღერების თანხლებით, შთამბეჭდავი სანახაობა იყო.

სრულიად შემთხვევით გავიცანი ადამიანი, რომელმაც ნახა ჩემი ნამუშევრები, აღმოაჩინა, რომ ვლაპარაკობ გერმანულად, ინგლისურად, და ძალიან მოინდომა ჩემი მოწვევა, გახდა ჩემი სპონსორი. ისე მოხდა, რომ გაიყიდა ჩემი ნამუშევრები და, ამრიგად, მეორე სიმპოზიუმზე მოწვევაც მივიღე. ორივეჯერ აქედან წავიღე ჩემი ნამუშევრები - აპლიკაციები. მაგრამ, როგორც წესი, იქვე უნდა იმუშაო, მნიშვნელობა არა აქვს, რა მასალაში. ვინაიდან მე ზეთში, პრაქტიკულად, ველარ ვმუშაობ და ამ მხრივ ნოსტალგია მაწუხებს, იქ ფერწერული ტილოები გავაკეთე ზეთში. ნაწილი იქ შექმნილი ნამუშევრებისა იქვე რჩება - ზოგი საგამოფენოდ, და ეს გამოფენა მოგზაურობს ევროპის სხვადასხვა ქალაქში, ერთი - სპონსორისთვის (რომელსაც შემდეგ გადასცემენ საავადმყოფოს, ბანკს და ა.შ.). როგორც წესი, კატალოგშიც იქ შექმნილი ნამუშევრები შედის. ღონისძიებისთვის ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდის ხალხი მანქანებით, დღესასწაულს ხსნის და ხურავს ბურგომისტრი, იმართება კონცერტები. ამ ყველაფერს ფართოდ აშუქებს პრესა. ამ უნაკლოდ ორგანიზებული ღონისძიების ათი დღე მისი თითოეული მონაწილისათვის საოცარი მუხტის მომცემი, დაუვიწყარია. მარტო ის რად ღირს, რომ ათი დღის განმავლობაში საერთოდ ვერ ხედავ ფულს, არ გაწუხებს არანაირი პრობლემა, დადიხარ ველოსიპედით, მონაწილეობ ულამაზეს რიტუალებში, ცხოვრობ მხოლოდ ხელოვნებით და ცხოვრობ დღესასწაულში. მოკლედ, არაჩვეულებრივად ისვენებ. რა თქმა უნდა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი ნამუშევრები გაიყიდა. ყველა, გარდა იქ დასატოვებლებისა. გამოფენაზე ყველა მონაწილეს საკუთარი კედელი გააჩნია, არაჩვეულებრივი განათებით, ხალხს პირდაპირი კონტაქტი აქვს შენთან, გალერისტის გარეშე; იბეჭდება ბუკლეტები მონაწილეთა ბიოგრაფიებით, შემდეგ კი კეთდება კატალოგი. გარდა ამისა, გადიხარ ჩაკეტილი სივრციდან და გეძლევა შანსი, გაიგო, როგორ მუშაობს, რას აკეთებს ვინმე, ვთქვათ, ირლანდიელი ან იაპონელი. ერთი დანიელი, რომელმაც ჩემი ნამუშევარი შეიძინა და შემომთავაზა გამოფენის მოწყობა დანიაში (საკუთარი გალერეა აქვს კოპენჰაგენში), მეუბნებოდა: ძალიან პატარა ერი ვართ და ძალიან ჩაკეტილი კულტურა გვაქვს. სწორედ ამიტომ მინდა, დანიელებს სხვისი კულტურა გავაცნო. მინდა მიხვდნენ, რომ დანია არ არის დედამიწის ცენტრიო. მე სიცილით ვპასუხობდი, რომ ზუსტად იგივე შემიძლია, საკუთარ ქვეყანაზე ვთქვა."

ანკა კალატოზიშვილს უკვე აქვს მიწვევა იტალიაში, მერე რიგაში - შემდეგ სიმპოზიუმზე და ორი წლის შემდეგ, ალბათ, - ისევ გერმანია.

ცნობისათვის: ანკა კალატოზიშვილმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, თეატრის ფერწერის ფაკულტეტი. პირველი გამოფენა, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ლონდონში ჰქონდა, პეტერბურგის და მოსკოვის აკადემიების სტუდენტებთან ერთად. რამდენიმე წელი ცხოვრობდა ვენაში. ამჟამად მუშაობს კოსტიუმებზე სპექტაკლებისთვის: მარჯანიშვილის თეატრში გიზო ჟორდანია დგამს "სამგროშიან ოპერას"; თემურ ჩხეიძის სახელოსნოში, თემურ ჩხეიძის ასპირანტი გოგა თავაძე დგამს შიო არაგვისპირელის "გიულის". გეგმები კიდევ ბევრია...



ტილო, რომელიც ვიტინგენში დაიხატა და პატრონიც იქვე გამოუჩნდა.

